# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 26 ნოემბერი 2003 №225 (1996) ფასი 50 თეთრი





REUTERS

„ბაიერნმა" ოლივერ კანის შემწეობით „სელტიკს" არ გაატანინა, ვერც თვითონ გაიტანა და მერვედფინალში გასვლა ბოლო ტურისთვის გადადო

# ინტერნაციონალური სირცხვილი

## დედა შვილს არ აიყვანს, სიომინი ჰაიბერიზე რკინიგზას გაიყვანს?




REUTERS



„ინტერი" — „არსენალი" 1:5. ტიერი ანრიმ და მისმა თანაგუნდელებმა ფრანჩესკო ტოლდოს იმდენი გაუტანეს, არსენ ვენგერს ხელები მოაფშვნეტინეს

# ჩემპიონთა ლიგა
## ჯგუფური ეტაპი. V ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**სელტიკი 0:0 ბაიერნი**

სელტიკი: ჰედმანი, მაკნამარა, ვარგა, ბალდე, აგატი (მილერი 62), ლენონი, პეტროვი, ა. ტომპსონი, ლარსონი, ჰარტსონი (სილა 86), სატონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, იერემისი, ბალაკი, სალიჰამიჯიჩი, მაკაი, სანტა კრუზი (პიზარო 72)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: სანიოლი, კუფური, ლიზარაზუ, ტომპსონი
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)
59 000 მაყურებელი

**ანდერლეხტი 1:0 ლიონი**

1:0 ტიჰინენი (70)
ანდერლეხტი: ზიტკა, ჟევლაკოვი (ჰენდრიქსი 67), ტიჰინენი, კომპანი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ჰასი, ბასეჯიო, კოლარი (იაშჩუკი 88), ზეტერბერგი (ვანდერეგე 86), მორნარი
მწვრთნელი: უგო ბროოსი
ლიონი: პიუდებუა, რეველიერი, მიულერი, ედმილსონი, ბერტოდი (კასაპა 80), ჟუნინიო, დიარა (კარიერი 73), მალუდა, ლუინდულა, ელბერი, გოვუ
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
24 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |

**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**
ლიონი — სელტიკი
ბაიერნი — ანდერლეხტი

### B ჯგუფი

**ინტერი 1:5 არსენალი**

0:1 ანრი (25), 1:1 ვიერი (33), 1:2 ლიუნგბერგი (49), 1:3 ანრი (85), 1:4 ედუ (87), 1:5 პირესი (89)
ინტერი: ტოლდო, ო. კორდობა, მატერაცი, კანავარო (პასკუალე 59), ხ. ძანეტი, ლამუში (ალმეიდა 57), კ. ძანეტი, ბრეშე, ვან დერ მეიდე (კრუზი 69), ვიერი, ო. მარტინსი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
არსენალი: ლემანი, ტურე, კემპბელი, სიგანი, ე. კოული, ლიუნგბერგი, პარლოუ, ედუ, პირესი, ანრი (ალიადიერი 89), კანუ (ჟილბერტო სილვა 73)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სიგანი, ედუ
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
44 884 მაყურებელი

**ლოკომოტივი 3:2 დინამო**

1:0 ბუზნიკინი (28), 1:1 ბელკევიჩი (37), 2:1 იგნაშევიჩი (45პ), 2:2 შაცკიხი (64), 3:2 პარკსი (89)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, ლეკხეტო, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია, ბუზნიკინი (პარკსი 83; ნიჟეგოროდოვი 90)
*მალხაზ ასათიანი სათადარიგო იყო*
მწვრთნელი: იური სიომინი
დინამო: შოვკოვსკი, დმიტრულინი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, საბლიჩი, ბელკევიჩი, გიოანე (ხაცკევიჩი 56), გუსევი, ონიშჩენკო (პეევი 65), შაცკიხი, რინკონი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
გაფრთხილება: ლეკხეტო, საბლიჩი, დმიტრულინი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ინტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |

**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**
დინამო — ინტერი
არსენალი — ლოკომოტივი

### C ჯგუფი

**მონაკო 1:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 მორიენტესი (34), 1:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (85)
მონაკო: რომა, გივე, ევრა (იბარა 75), სკილაჩი, როდრიგესი, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, ჟიული, მორიენტესი (ადებაიორი 80), პრსო (ე. სისე 59)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ფაბერი, ბუმა, ბოგელუნდი (კოლინი 74), ლუსიუსი, ი. ლი (ჯ. დე იონგი 77), პარკი, ფოგელი, ვონლანტენი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 64), კეჟმანი, რობენი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: რობენი, ლუსიუსი, ბოგელუნდი, ზიკოსი, ლუსიუსი, ზიკოსი, კეჟმანი
გაძევება: ლუსიუსი (50), ზიკოსი (84), ჟიული (88)
მსაჯი: ჟელკო შირიჩი (ხორვატია)
18 000 მაყურებელი

**დეპორტივო 3:0 აეკ**

1:0 ვალერონი (22), 2:0 ვალერონი (51), 3:0 ლუკე (70)
დეპორტივო: მოლინა, ექტორი, სესარი (რომერო 72), ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ვიქტორი (სკალონი 68), დუშერი, სერხიო, ვალერონი (ლუკე 59), ფრანი, პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
აეკ: მიხაილიდისი, კაპსისი, ბორბოკისი, კასაპისი (კოსტენოღლუ 43), ლაკისი (პეტკოვი 73), ამპონსაჰი, კაცურანისი, ზაგორაკისი, ცარტასი, ნალიცისი, ოკასი (ს. კონსტანტინიდისი 76)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
გაფრთხილება: კასაპისი, ოკასი, კოსტენოღლუ, ამპონსაჰი
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
17 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 15:6 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 10:9 | 10 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| აეკ | 5 | 0 | 1 | 4 | 1:11 | 1 |

*„მონაკო" გავიდა მერვედფინალში*
**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**
აეკ — მონაკო
პსვ ეინდჰოვენი — დეპორტივო

### D ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 2:2 სოსიედადი**

0:1 გაბილონდო (31), 1:1 სტოლტიდისი (59), 2:1 კასტილიო (69), 2:2 შურერი (73)
ოლიმპიაკოსი: კატერიანაკისი, ვენეტიდისი (ტაცისი 85), გეორგიადისი, ანცასი, ანატოლაკისი, კარამბუ, სტოლტიდისი, პანტოსი, მავროგენიდისი (ნინიადისი 57), ჯოვანი, კასტილიო
მწვრთნელი: ოლეგ პროტასოვი
სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, გაბილონდო, კარპინი (არანბურუ 82), ალკისა, კოვაჩევიჩი, ნიჰათი (ჩ. ლი 76)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: კოვაჩევიჩი, ანატოლაკისი, ვენეტიდისი, შურერი, ლოპეს რეკარტე, პანტოსი, კოვაჩევიჩი, ნინიადისი
გაძევება: კოვაჩევიჩი (66)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
14 500 მაყურებელი

**გალათასარაი — იუვენტუსი**
*გაიმართება 2 დეკემბერს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| სოსიედადი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:6 | 4 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |

*„იუვენტუსი" გასულია მერვედფინალში*
**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**
იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი
სოსიედადი — გალათასარაი



ინტერი — არსენალი. ლონდონელმა მცველებმა ობაფემი მარტინსი კარს არ გააკარეს

*ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი მატჩების მთავარი ამბავი, ცხადია, „ინტერის" საშინაო სირცხვილია. არსენ ვენგერის მეთოფეებმა, რომლებიც პირველ ტურში ჯერ კიდევ კუპერისეულ „ინტერთან" „ჰაიბერიზე" სამი უპასუხო გოლით თავად შერცხვნენ, მილანში შური იძიეს. ფრანგის გამართულმა „ველოსიპედმა" ისეთი სიჩქარეები ჩართო, ალბერტო ძაკერონის გაწვრთნილ „შავ-ლურჯებს" თავგ ზა აუბნია — 5:1 და **B** ჯგუფის ბოლო ტურში ისეთი ამბებია მოსალოდნელი, დედა შვილს არ აიყვანს — გამხეცებულ „არსენალს" პირველ ადგილზე წამოსკუპული მიხეილ აშვეთიას „ლოკომოტივი" ესტუმრება. რუსებმა გუშინ მატჩის ბოლო წუთზე გამოგლიჯეს სამი ქულა კიევის „დინამოს". წაგების მიუხედავად მერვედფინალში გასვლის შანსი უკრაინელებსაც შერჩენიათ და საამისოდ მათ შინ „ინტერის" წაქცევა მართებთ.*

*დიდი სიმჭიდროვეა **A** ჯგუფშიც.*

*„სელტიკმა" და „ბაიერნმა" გლაზგოში თავპირი კი, მაგრამ კარი ერთხელაც ვერ უმტვრიეს ერთმანეთს და გუშინდელმა ფრემ შოტლანდიელები გააპირველა, გერმანელები კი ცხრილის ფსკერზე დალექა. ამათ შუა მოქცეულა „ანდერლეხტი" და „ლიონი", რომელმაც ბრიუსელში ბელგიელებს სამი ქულა დაუთმო. ვინ გააგრძელებს გზას ლიგის მერვედფინალისკენ, აქაც 10 დეკემბერს გაირკვევა.*



ლოკომოტივი — დინამო. მიხეილ აშვეთიას (მარცხნივ) თავი არ დაუზოგავს




მონაკო — პსვ ეინდჰოვენი. ფერნანდო მორიენტესის საგოლე თავური

REUTERS

### ინგლისი

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
ბარნლი 3:0 რედინგი
კარდიფი 1:1 ვესტ ბრომვიჩი
ნორვიჩი 1:1 ქოვენთრი
სტოკი 0:1 კრისტალ პალასი
უიმბლდონი 1:1 ვესტ ჰემი

**კონფერენს ლიგა**
**XX ტური**
ბარტონი 3:2 ლეიფი
ჩესტერი 3:3 აკრინგტონი
ექსეტერი 3:2 შრიუსბერი
ფარნბორო — მარგეიტი *გადაიდო*
ფორესტ გრინი 1:2 მორეკემბი
გრეივსენდი 1:2 დაგენემი
ჰერეფორდი 7:1 ჰალიფაქსი
სკარბორო 2:2 ბარნეტი
სტივენეიჯი — ალდერშოტი *გადაიდო*
ტელფორდი 0:1 ნორსვიჩი
უოკინგი 4:0 ტემფორთი

### იტალია

**თასის 1/8 ფინალი**
**I მატჩი**
სიენა 1:2 იუვენტუსი

### ირლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**
დერი სიტი 1:0 ბოჰემიანსი

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**
მოზერუელი 2:2 დანფერმლაინი

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## E ჯგუფი

### პანათინაიკოსი — მანჩესტერი
### შტუტგარტი — რეინჯერსი

## ბერძნებს კინოს არ აჩვენებენ

**„პანათინაიკოსი“** დღეს შეეცდება ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვოს, საამისოდ კი ათენელებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევა სჭირდებათ. მოგების შემთხვევაში მასპინძლები უეფას თასზე თამაშის შანსს ინარჩუნებენ, ოღონდ იმავდროულად „რეინჯერსმა“ გერმანიაში „შტუტგარტს“ ვერ უნდა სძლიოს.

„პანათინაიკოსს“ ცენტრალური მცველი ნასიფ მორისი დააკლდება, რომელიც გასულ უქმეებზე გამართულ ბერძნულ დერბიში, „ოლიმპიაკოსთან“ მატჩში დაშავდა.

სერ ალექს ფერგიუსონმა ათენში როი კინი არ წაიყვანა. ირლანდიელს მცირე ტრავმა აქვს და იგი დასასვენებლად მანჩესტერში დარჩა. ფერგიუსონს კინი პრემიერლიგის მომავალ ტურისთვის სჭირდება, როცა მისი გუნდი „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსის“ ესტუმრება. „კინოს“ ადგილს ნიკი ბათი დაიკავებს. სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ბრაზილიელი კლებერსონი იქნება, ვინაც „ბლექბერთან“ გატანილი გოლით თავი გამოიჩინა.

ბუნდესლიგაში დაუმარცხებელ „შტუტგარტს“ ცენტრალური მცველი მარსელო ბორდონი ვერ დაეხმარება. ბრაზილიელის ტრავმა გრძელვადიანი აღმოჩნდა და შესაძლოა წლის ბოლომდე დასვენება მოუწიოს.

ჯგუფის ლიდერს გამოჯანმრთელებული ხორვატი ნახევარმცველი იურიცა ვრანიეში დაუბრუნდა. ფელიქს მაგათის პორტუგალიელი ფერნანდო მეირასიც ეიმედება, რომელმაც „ჰანოვერთან“ შეხვედრა გამოტოვა.

„რეინჯერსს“ ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსი აქვს და თუ რამ შეუძლია, შტუტგარტში უნდა აჩვენოს. ამ გუნდების პირველი მატჩი „აიბროქსზე“ „ჩაფრების“ გამარჯვებით (2:1) დასრულდა, თუმც მაშინ გერმანელებმა, განსაკუთრებით მატჩის მეორე ტაიმში, „რეინჯერსის“ ფანები გვარიანად ანერვიულეს. „ჩაფრების“ გულშემატკივრებს სანერვიულო ამჯერადაც არ მოაკლდებათ.

**პაატა ქვანტალიანი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პანათინაიკოსი — მანჩესტერი**

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, გუმასი, ფისასი, ბასინასი, ფუტაუტასი, მიკაელსენი, სანმარტიანი, დ. პაპადოპულოსი, კონსტანტინუ

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, კლებერსონი, ბათი, ფ. ნევილი, ფორჩუნი, გიგზი, ვან ნისტელროი

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

**შტუტგარტი — რეინჯერსი**

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, სოლდო, ვრანიეში, ჰელდიტი, გლები, კურანი, საბიჩი

**რეინჯერსი:** კლოსი, რიკსენი, ბერგი, ხიზანიშვილი, ბოლი, ვანოლი, ჰიუზი, ემერსონი, ლოვენკრანდსი, არველაძე, მოლსი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:2 | 9 |
| რეინჯერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| პანათინაიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

## F ჯგუფი

### მარსელი — რეალი
### პორტუ — პარტიზანი

## ზიზუ სახლში მიდის

**რუსმა** დმიტრი სიჩოვმა ევრო 2004-ის შესარჩევ შეხვედრაში, უელსის წინააღმდეგ, ტრავმა მიიღო და ამიტომ დღეს, „მარსელის“ შემადგენლობაში „რეალის“ წინააღმდეგ შეიძლება ვერ ითამაშოს. კოჭი ვერ დაუამდა თავდამსხმელ სტივ მარლეს, ხოლო მცველ სებასტიან პერესს რომელიღაც ნერვის პრობლემა უდგას.

ამ შეხვედრაში საგულისხმო და ამაღელვებელი ზინედინ ზიდანის მშობლიურ ქალაქში დაბრუნებაა. ბოლოს „ველოდრომზე“ ზიზუმ (ნაკრებს არ ვგულისხმობთ) 1993-94 წლების სეზონში, „ბორდოს“ შემადგენლობაში ითამაშა. აღსანიშნავია, რომ „რეალი“ უკვე მერვედფინალშია, ასე რომ, დარჩენილი ორი შეხვედრა მადრიდელებს შეუძლიათ სავარჯიშოდ გამოიყენონ.

ვინ არ იქნება „სამეფო კლუბში“? ცენტრალური მცველი ფრანსისკო პავონი, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ალბასეტეს“ წინააღმდეგ (2:1) ბარძაყის კუნთი გაიჭიმა. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვაში ივან ელგერა დაიწევს.

ბრუნდება ბარძაყმორჩენილი რობერტო კარლოსი, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მწვრთნელმა კარლუშ კეიროშმა იგი მაინც დაასვენოს და მის ნაცვლად სანტიაგო სოლარი ათამაშოს. ლუიშ ფიგუმ კოჭი კი გადაიბრუნა, მაგრამ ამბობენ, პრობლემა არ ექნებაო. ახლა კი ჯგუფის მეორე თამაშზე ვთქვათ — „პორტუ“ ბელგრადის „პარტიზანს“ მასპინძლობს. პორტუგალიელებს პრობლემა აქვთ: სესარ პეიშოტო სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს, რადგან მარცხენა ფეხზე მყესი დაუშავდა და ოპერაცია გაიკეთა. მის მაგივრად, სავარაუდოდ, მარიუ სილვა ითამაშებს.

**პაპუნა ქედია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მარსელი — რეალი**

**მარსელი:** რუნიე, მეიტე, ვან ბუიტენი, კრისტენვალი, ეკერი, მერიემი, ჰემდანი, სელესტინი, ვახოუშეკი, დროგბა, მიდო

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ელგერა, რაულ ბრავო, სოლარი (ან რობერტო კარლოსი), ფიგუ, ბექემი, გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**პორტუ — პარტიზანი**

**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე (ან მარიუ სილვა), მანიშე, კოშტინია, ალენიჩევი, ბოსინგვა, მაკკარტი, დერლეი სილვა

**პარტიზანი:** პანტიჩი, ჩირკოვიჩი (ან სავიჩი), ნ. ჯორჯევიჩი, ბაიჩი, მალბასა, ნადი (ან რჟასა), დულიაი, დრულოვიჩი (ან სტოიანოსკი), ილიჩი, დელიბაშიჩი, ილიევი

მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| პორტუ | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | 3 |
| პარტიზანი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |

## G ჯგუფი

### ჩელსი — სპარტა
### ლაციო — ბეშიქთაში

## ლუჩესკუ მანჩინის ქუდს ერჩის

**„ბეშიქთაში“** დღემდე ოთხჯერ სწვევია იტალიას და ოთხჯერვე ხელცარიელი დაბრუნებულა. იტალიურ კლუბებს სტამბოლური „შავი არწივი“ ევროთასებზე ცხრაჯერ შეხვდა და მხოლოდ ერთი ფრე გაახერხა. ფაქტები გვიმოწმებენ, რომ „ბეშიქთაშს“ აპენინელებთან თამაში უჭირს და „ლაციოს“ შანსი აქვს, ამ სეზონში მეტოქეს მეოთხე მატჩში სძლიოს. გავიხსენოთ, რომ გუნდები ერთმანეთს გაზაფხულზე უეფას თასის მეოთხედფინალში გადაეყარნენ და რომაელებმა „ბეშიქთაში“ ორივე მატჩში დაჩაგრეს.

სტუმართა რუმინელი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუს თქმით, მას რომიდან ქულის წაღება ძალიან გაახარებს, თუმც „ლაციოსთან“ ფრეზე თამაში სახიფათოა და ამიტომ სტამბოლელები დაცვაში ჩაჯდომას არ აპირებენ. „შავ არწივს“ მთავარმეგოლეები — სერგენ იალჩინი და ილჰან მანსიზი ჯანზე ჰყავთ და მასპინძლებს სწორედ ამ წყვილის განეიტრალება მოუწევთ.

რობერტო მანჩინის სასჯელმოხდილი მასიმო ოდო და ტრავმამოშუშებული სტეფანო ფიორე დაუბრუნდა.

ლონდონში „ჩელსი“ პრაღის „სპარტას“ უმასპინძლებს. მასპინძლებს ტრავმირებული ხუან სებასტიან ვერონი არ ეყოლებათ. საეჭვოა კლოდ მაკელელეს თამაშიც, რომელიც შესაძლოა, ჯო კოულმა შეცვალოს. დისკვალიფიცირებულია მარჯვენა მცველი გლენ ჯონსონი, მარსელ დესაი კი, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში გამოჩნდა, ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და დაისვენებს. ძირითად შემადგენლობაში სავარაუდოდ, კამერუნელი ჯერემი ნჯიტაპი იქნება, მას შემდეგ, რაც პრემიერლიგის წინა ტურში „საუთჰემპტონთან“ შეხვედრა გამოტოვა.

კლაუდიო რანიერის შემტევი წყვილი რუმინულ-არგენტინული იქნება. ადრიან მუტუ და ერნან კრესპო პრაღელთა მეკარე იარომირ ბლაჟეკს საქმეს არ მოაკლებენ.

„სპარტას“ დისკვალიფიცირებული მცველი პეტრ იოანა დააკლდება. შესაძლოა, იგი ირჟი ჰომოლამ შეცვალოს, რომლის საევროთასო დებიუტიც ლონდონში შედგება. ტრავმირებული ნახევარმცველი ირჟი ნემეცი და ფორვარდი იგორ გლეშევიჩი პრაღაში დარჩნენ.

**გაგა ხუციშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი — სპარტა**

**ჩელსი:** კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯერემი, მაკელელე (ან ჯ. კოული), ლამპარდი, დაფი, კრესპო, მუტუ

**სპარტა:** ბლაჟეკი, პერგლი, ჰუბშმანი, ჰომოლა, ლაბანტი, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა, ზბონჩაკი, კინცლი, იუნი

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

**ლაციო — ბეშიქთაში**

**ლაციო:** პერუცი, ოდო, სტამი, ნეგრო, ფავალი, ფიორე, ალბერტინი, ჯანიკედა, სტანკოვიჩი, კორადი, ს. ინძაგი

**ბეშიქთაში:** ო. კორდობა, აჰმეთ ილდირიმი, ძაგო, გიარო, ტაიფური, ჟუნტი, იბრაჰიმი, პანჩუ, დობრა, სერგენი, ილჰან მანსიზი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლაციო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |

## H ჯგუფი

### აიაქსი — მილანი
### სელტა — ბრიუგე



პაოლო მალდინი

## შავ-წითელი ამბავი

**ორი ამბავი** „როსონერის“ გულშემატკივართათვის დღევანდელი მატჩის წინ, ერთი კარგი, მეორე ცუდი. ცუდით დავიწყოთ, მით უმეტეს, რომ ის ქართველ მცველ კახა კალაძეს ეხება. კახა იმ 22 ფეხბურთელში ვერ მოხვდა, რომლებიც ანჩელოტიმ ამსტერდამში იახლა, ჩვენებურს კვლავ ტრავმამ შეახსენა თავი და ისიც ექიმ ჯიჯი ბალესტრასთან დაბრუნდა სამკურნალოდ. მილანშივე დარჩა ცენტრალური მცველი ალესანდრო ნესტაც, „ბრიუგესთან“ წინა მატჩში გაძევებული მილანელთა მე-13 ნომერი დისკვალიფიცირებულია.

კარგი ამბავი — დღეს 35 წლის კაპიტანი პაოლო მალდინი ითამაშებს. ლეგენდარულმა მცველმა ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა. ანჩელოტი „როსონერის“ დაცვის ცენტრსაც „ბებერ ლომებზე“ ააგებს — 37 წლის ბილი კოსტაკურტა ნესტას არყოფნაში მალდინის შეუამხანაგდება. სხვა მხრივ „მილანი“ დღეისთვის უძლიერესი შემადგენლობით გავა მინდორზე.

გაცილებით მეტი პრობლემები აქვს „აიაქსის“ მწვრთნელ რონალდ კუმანს. ვან დერ ვაარტი და გრიგერა დისკვალიფიცირებულნი არიან, ობრაიენი, პიენაარი, ტრაბელსი და ვან დამი — ტრავმირებულნი. ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფი კუმანიც შემადგენლობის ვარირებას ახდენს, თუმც სნეიდერ-იბრაჰიმოვიჩ-სონკის შემტევი ტრიო მაინც მრისხანედ გამოიყურება.

ვიგოს „ესტადიო ბალაიდესზე“ კი ალბათ მაინც თანაბარი ძალის გუნდები შეეტოქებიან ერთმანეთს. მიგელ ანხელ ლოტინა, „სელტას“ მწვრთნელი ხუან ველასკოს და ედუს მოისაკლისებს. ჯანზე ვერაა ჯოვანელაც. საეჭვოა აგრეთვე ხუანფრანის თამაშიც. ეს უკანასკნელი თუ ვერ მომჯობინდა, მას ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გუსტავო ლოპესი შეცვლის.

**გიორგი ვაშაკიძე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აიაქსი — მილანი**

**აიაქსი:** ლობონტი, ჰეიტინგა, პასანენი, ესკუდე, იაკუბუ, ნ. დე იონგი, გალაშეკი, სნეიდერი, მიტია, იბრაჰიმოვიჩი, სონკი

**მილანი:** დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ფ. ინძაგი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

**სელტა — ბრიუგე**

**სელტა:** პინტუ, ანხელი, კასერესი, სერხიო, სილვინიო, ხესული, ლუქსენი, ვაგნერი, ხუანფრანი (ან გუსტავო ლოპესი), მოსტოვოი, მილოშევიჩი

**ბრიუგე:** ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ ჰიდენი, ენგლებერტი, კლემანი, გვოზდენოვიჩი, ვერჰეინი, ლანგე, შატერნსი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| აიაქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| სელტა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |

# გასაჭარია



REUTERS

ფრანგი ლუი საჰა (№8) გოლებმა „ფულემი“ სამი ქულით გაამდიდრა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XIII ტური

**ფულემი 2:0 პორტსმუთი**

1:0, 2:0 საჰა (30, 33)

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, მელვილი, ნაითი, ბონისელი, ლეგვინსკი, კლარკი, მალბრანკი, ჰეილსი (ინამოტო 68), შ. დევისი, საჰა (სავა 70)

**მწვრთნელი:** კრის კოულმენი

**პორტსმუთი:** ვაჰენაარი, სტეფანოვიჩი, ფოქსი (ე. ტეილორი 60), დე ზეუვი, შემელი, შერვუდი, სტოუნი (უ. ბარტონი 73), ბერგერი, ონილი (სმერტინი 60), შერინგემი, აიეგბენი

**მწვრთნელი:** ჰარი რედნაპი

**გაფრთხილება:** სტოუნი, შემელი, შერვუდი

**გაძევება:** ბერგერი (82)

**მსაჯი:** ვაილი

15 624 მაყურებელი

პირველი ტაიმის ორწუთიან მონაკვეთში ფულემელი ლუი საჰას ორმა გოლმა „ლოფტუს როუდზე“ „პორტსმუთი“ დასცა.

ამ გამარჯვებით დასავლეთ ლონდონურმა კლუბმა ცხრილში ორი საფეხურით აიწია და მეხუთე ადგილზე გამაგრდა. „პორტსმუთი“ კი მეთერთმეტე ადგილამდე დაქვეითდა.

პირველი გოლი საჰამ მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე გაიტანა. საჯარიმო მოედნის შიგნით შეღწეულმა ფრანგმა ცაციათი, დაბალი დარტყმით [illegible] ბურთი პორტსმუთ[illegible] ელი მეკარის ჰორალდ ვაჰენაარის კარში. მეორე გოლისას კი საჰამ ლი კლარკის პასი მიიღო და მცველი ჰაიდენ ფოქსი მოატყუა.

„ფულემს“ მესამე გოლის გატანაც შეეძლო, როცა მეორე ტაიმში არგენტინელმა ფორვარდმა ფაკუნდო სავამ ბურთი ძელს გაარტყა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 13 | 10 | 3 | 0 | 28:10 | 33 |
| ჩელსი | 13 | 10 | 2 | 1 | 27:9 | 32 |
| მანჩესტერი | 13 | 10 | 1 | 2 | 25:8 | 31 |
| ჩარლტონი | 13 | 6 | 4 | 3 | 20:16 | 22 |
| ფულემი | 13 | 6 | 3 | 4 | 24:18 | 21 |
| ბირმინგემი | 13 | 5 | 5 | 3 | 11:11 | 20 |
| ნიუკასლი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:18 | 19 |
| სიტი | 13 | 5 | 3 | 5 | 22:18 | 18 |
| ლივერპული | 13 | 5 | 3 | 5 | 18:14 | 18 |
| საუთჰემპტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 10:8 | 17 |
| პორტსმუთი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:18 | 15 |
| ტოტენჰემი | 13 | 4 | 3 | 6 | 13:17 | 15 |
| მიდლსბრო | 13 | 4 | 3 | 6 | 11:15 | 15 |
| ბოლტონი | 13 | 3 | 6 | 4 | 11:19 | 15 |
| ევერტონი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:17 | 13 |
| ლესტერი | 13 | 3 | 3 | 7 | 20:22 | 12 |
| ბლექბერნი | 13 | 3 | 2 | 8 | 18:24 | 11 |
| ასტონ ვილა | 13 | 2 | 5 | 6 | 10:17 | 11 |
| ვულვზი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:26 | 10 |
| ლიდსი | 13 | 2 | 2 | 9 | 11:33 | 8 |

# სად იყავით აქამდე?!

## რობსონს ბრედფორდი ჩააბარეს



ბრაიან რობსონი (მარჯვნივ) უკვე „ბრედფორდშია“



ალექს ფერგიუსონი

**ინგლისის** პირველი დივიზიონის „ბრედფორდ სიტის“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ კლუბის ახალ მენეჯერად ბრაიან რობსონი დაინიშნა. ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი გუშინდელ დანიშვნამდე კარგა ხანს უმუშევარი იყო. მას მერე, რაც 2001 წელს „მიდლსბროდან“ გაუშვეს, მას არსად უმუშავია. „ბრედფორდში“ კი მას ასისტენტობას კოლინ ტოდი გაუწევს.

„ბრედფორდმა“ ძველი მენეჯერი ნიკ ლოუ წინა კვირაში დაითხოვა, რის მერეც თავმჯდომარე გორდონ გიბი და აღმასრულებელი დირექტორი ჯულიან როუდსი სამ პრეტენდენტს გაესაუბრნენ და არჩევანი რობსონზე შეაჩერეს. რობსონის დანიშვნას ბრედფორდელები წინა უქმეებზე აპირებდნენ, მაგრამ ხელფასზე მოლაპარაკება გაეწელათ.

სხვათა შორის, წინა თვეში ითქვა, რობსონს ნიგერიის ნაკრების მწვრთნელად ნიშნავენო, მაგრამ იქაურმა სპორტის მინისტრმა მუსა მოჰამედმა ფეხბურთის ფედერაციის ეს გადაწყვეტილება დაბლოკა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ თავის დროზე რობსონმა „მიდლსბრო“ პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში აღაზევა და სამჯერ თასის ფინალშიც გაიყვანა. ჰოდა, ალბათ ამიტომაც იყო, რომ რობსონის ძველმა ბოსმა, სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, დარწმუნებული ვარ, ბრაიანი ძალიან მალე გადმოიყვანს „ბრედფორდს“ პრემიერლიგაშიო. ფერგიუსონმავე დასძინა, ერთი ეგ მიკვირს, აქამდე როგორ არავის მოუვიდა აზრად მისი გადაბირებაო.

**ირაკლი ნინიძე**

*„ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ 27 წლის თავდამსხმელი ლი ჰიუზი პოლიციას ჩაბარდა — იგი თავისი 60 ათას გირვანქიანი „მერსედესით“ 56 წლის მოქალაქეს დაგ გრემს დაეჯახებია და მოუკლავს. ჰიუზი პოლიციაში დანაშაულიდან 36 საათში გამოცხადდა*

# ჰიუზი ჩაბარდა

## მთვრალი არ იყო, მაგრამ კაცი კი შეიწირა



ლი ჰიუზმა დაგ გრემი იმსხვერპლა



ფეხბურთელი, რომლის ხელფასიც კვირაში 16 ათასი გირვანქა გახლავთ, ვექილმა პოლიციაში ჟურნალისტების გვერდის ავლით შეიყვანა. წარმოშობით ქოვენთრელ ჰიუზს ბრალად სახიფათო მართვას და დანაშაულის ადგილიდან მიმალვას წაუყენებენ.

როგორც დაახლოებულმა პირებმა განაცხადეს, დღეს თითოეული წვრილმანის მოჩხრეკას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ გამოსაკვლევია, კერძოდ რა სისწრაფით მიჰქროდა ჰიუზის მანქანა.

ლი ჰიუზს ჰყავს მეუღლე და სამი წლის გოგონა, მია. მათი სახლი 750 ათასად არის შეფასებული, როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ჰიუზი ნასვამი არ იყო.

**პაპუნა ძიძია**

# დესაი ზეედორფს ეტოლება



**ლონდონური** „ჩელსის“ და საფრანგეთის ნაკრების 35 წლის ცენტრალურმა მცველმა მარსელ დესაიმ ჰარლინგტონში მისულ ჟურნალისტებს ოცნება გაუმხილა. „არისტოკრატები“ პრაღის „სპარტასთან“ დღევანდელი საჩემპიონთალიგო მატჩისთვის სწორედ ლონდონის ამ გარეუბანში ემზადებიან.

დესაის ოცნება კი თურმე ის გახლავთ, რომ მესამედ მოიგოს ჩემპიონთა თასი, მიღწევებით კლარენს ზეედორფს გაუტოლდეს და ფინალში, გელზენკირხენის „აუფშალკეზე“ სწორედ ზეედორფის „მილანი“ დაამარცხოს.

„1994 წელი და ათენი ტკბილად მაგონდება. მაშინ „მილანმა“ „ბარსელონა“ გაასამტვერა 4:0. დიახ, ჩემი სურვილია, რომ ახლა „ჩელსის“ ლურჯი მაისურით დავუპირისპირდე „შავ-წითლებს“. რატომ მაინცდამაინც „მილანი“? ისინი ევროპის ჩემპიონები არიან, ჩემპიონებთან გამარჯვება და თანაც ფინალში, მით უფრო ფასეულია. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ იტალიელებს გავაცამტვერებთ, მაგრამ მათთან მოგება რომ შეგვიძლია, დარწმუნებული ვარ“ — ამბობს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის ორგზის გამარჯვებული, ერთი სიტყვით, ტიტულიანი დესაი და დასძენს: „ჩელსი“ დიდი გუნდია, ბრწყინვალე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. რანიერისეული როტაცია სავსებით მისაღებია, მას ტაქტიკური ვარირების დიდი არჩევანიც აქვს“.

მარსელ დესაი ტრავმირებული იყო, იგი სეზონის დასაწყისში დაშავდა და რამდენიმე პრემიერლიგური, ჩემპიონთა ლიგის თუ სანაკრებო მატჩები გამოტოვა. ისევ დესაი: „ახლა ძალიან კარგად და ჯანზე ვარ. თამაში მწყურია, მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ როდის მომცემს შანსს. გულწრფელად ვიტყვი, ძირითადში ადგილის დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება. ჩემი კონკურენტები უილიამ გალასი და ჯონ ტერი ჩინებულ ფორმაში არიან“.

**გიორგი გუგაძიძე**

## ხორვატია

### I ლიგა. XV ტური

ოსიეკი — დინამო 3:2; ჰაიდუკი — ციბალია 3:1; სლავენი — ვარტექსი 2:1; რიეკა — მარსონია 3:1; კამენი — ზადარი 2:2; ზაგრები — ინტერი 1:1

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XVII ტური

რუზომბეროკი — ბანსკა ბისტრიცა 2:0; ჟილინა — სლოვანი 3:3; ინტერი — ტრნავა 0:1; პუხოვი — დუბნიცა 3:1

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



რობერტო მანჩინი

# ლაციო vs პერუჯა
# ჩხუბი ჩხუბის მერე
## უვიცი ბოლონინო შეთქმულების მონაწილეა

*სერია A-ს ბოლო ტურში „ლაციოსა“ და „პერუჯას“ თამაში ჩხუბითა და ავი ზნით დარჩა გამორჩეული. უმბრიელებმა დედაქალაქში 1:3 წააგეს და მომხდარმა მათ პრეზიდენტს, ლუჩანო გაუჩის შეთქმულებაზე დააწყებინა ლაპარაკი. მილანელმა მსაჯმა, კოსიმო ბოლონინომ პერუჯელებს მოედნიდან სამი ფეხბურთელი, სულეიმან დიამუტენე, ჯოვანი ინოფო და მარკო დი ლორეტო გაუგდო. გარდა ჩამოთვლილებისა, წითელი ბარათი იხილეს მწვრთნელმა სერსე კოზმიმ და გენერალურმა დირექტორმა ალესანდრო გაუჩიმ. „ლაციოდან“ მხოლოდ სერჟიუ კონსეისაუ გააძევეს*



სერსე კოზმი

„მატჩის ბედი მსაჯმა გადაწყვიტა. ის ან საშინლად უვიცია, ან ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა. ჩვენს წინააღმდეგ აშკარა შეთქმულებაა. მათ ჩვენი სერია B-ში გაგდება უნდათ“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

ბუნებრივია, „სტადიო ოლიმპიკოზე“ ნანახი იტალიაში ბევრმა ტელეარხმა მიმოიხილა.

„მსაჯი განზრახ ცდებოდა — განაცხადა გაძევებულმა ალესანდრო გაუჩიმ გადაცემაში „ლა დომენიკა სპორტივა“ — მე უმიზეზოდ გამაგდო. „ლაციოს“ მოთამაშემ შეურაცხყოფა მომაყენა. ვკითხე, რა გინდა-მეთქი და ამასობაში ათმა კაცმა ალყაში მომიმწყვდია“.

თუმცა მსაჯსაც გამოუჩნდა დამცველი. მსაჯების გამნაწილებელმა პიერლუიჯი პაირეტომ ბრძანა: „ბოლონინომ გააძევა ისინი, ვინც გაძევებას იმსახურებდნენ“.



კოსიმო ბოლონინომ პერუჯელთა „გაწითლებით“ თავს რისხვა დაიტეხა

„კონტროკამპოს“ სატელევიზიო გადაცემაში ერთმანეთს თვით მწვრთნელები, კოზმი და რობერტო მანჩინი დაუპირისპირდნენ.

„ამ შეხვედრაში მხოლოდ ერთ მხარეს არ უნდოდა თამაში ჩხუბის გზით გაგრძელებულიყო და ეს ჩემი გუნდი გახლდათ — განაცხადა კოზმიმ — პირველი წუთიდან პირველ ჩხუბამდე ჩვენ უკეთეს ფეხბურთს ვთამაშობდით“.

ამ ბრალდებას მანჩინიმ ასე უპასუხა: „ჩვენ გარემოს დაძაბვა სულაც არ გვინდოდა და ვფიქრობ, ეს თამაშის დროსაც ძალიან კარგად ჩანდა. ერთადერთი, რაც „ლაციოს“ სურდა, ფეხბურთის თამაში გახლდათ“.

მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ჩხუბისგან არ შედგება, მისი ნაწილი გახლავთ ტრანსფერებიც — იანვარში სატრანსფერო ფანჯარა იხსნება. ამასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ „ლაციოს“ „ინტერისგან“ მარცხენა ნახევარმცველის, კილი გონსალესის ყიდვა სურს. მოგეხსენებათ, მანჩინის ბრაზილიელი სეზარი დაუშავდა. კილი გონსალესის საკითხი ასე თავისუფლად იმიტომ დადგა, რომ „ინტერიდან“ არგენტინელი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის წასვლის შემდეგ მისი მომავალი (ახალ მწვრთნელის, ალბერტო ძაკერონის ხელში) სრულიად ბუნდოვანი შეიქნა.

**პაპუნა ძიძია**

---

*უცნაური თუ რამე გნებავთ ის არის, რომ „ინტერის“ ქომაგები, ყოველ შემთხვევაში მათი ერთი ნაწილი, თავიანთი საყვარელი გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელის, კრისტიან ვიერის მუდმივ ძაგებაში არიან*

# რატომ არ ზეიმობს ვიერი?
## ბობოს გინება ტიფოზებს აწყნარებს

„ასეთი გაუგებრობები ძნელბედობის ჟამს იჩენს ხოლმე თავს — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა და ყოფილმა ფეხბურთელმა მარკო ბრანკამ — ვფიქრობ, თვით ბობოს გინება ქომაგებში განმუხტვას იწვევს“.

რაც შეეხება ბოლო გაღიზიანების კონკრეტულ მიზეზს, იგი საკუთრივ ვიერის განცხადებიდან მოდის. ვარსკვლავს გადაუწყვეტია, გოლი აღარ იზეიმოს.

ბრანკა: „კრისტიანს თავისებური ხასიათი აქვს და მისი საქციელი ცალკეული გამოხდომა არასდროს გახლავთ. ის უბრალოდ უცნაური ადამიანია“.

რატომ აღარ ზეიმობს ვიერი? ამბობენ, ამის მიზეზი მწვრთნელის, ექტორ კუპერის გაშვება იყო. კიდევ, ამბობენ, ყველაფრის თავი და თავი მისი რონალდოსთან მეგობრობა გახლდათო — მოგეხსენებათ, რონალდო „ინტერიდან“ კონფლიქტით წავიდა — თუმცა კონკრეტულად არავინ არაფერი იცის.



ფრანკო კოლომბა

გარდა ამისა, „ინტერის“ პრობლემათა შორის აღსანიშნავია ფრანჩესკო კოკოს ტრავმაც. მას ზურგის ტკივა და, შესაძლოა, ექიმებმა კიდევ ორი თვით აუკრძალონ თამაში.

„სანამ რამე გადაწყდება, დეტალურად შემისწავლიან. ასეთი ტკივილები ადრეც მაწუხებდა“ — განაცხადა კოკომ, რომელსაც რომის კლინიკაში გამოიკვლევენ.

ხოლო „რეჯინა“, რომელმაც „ინტერთან“ ბოლო ტურში 0:6 წააგო, მწვრთნელის, ფრანკო კოლომბას საკითხს იხილავს.

„არ მესმის, რატომ უნდა გადავდგე — თქვა კოლომბამ — მომდევნო ვარჯიშებს ისევე ჩვეულებრივად ჩავატარებ, როგორც აქამდე ვატარებდი. პრეზიდენტი ლილო ფოტისთან არ მისაუბრია“.

და მაინც, თუ კოლომბას მოხსნიან, მის ადგილზე მყისვე გაჩნდება ორი კანდიდატი, „ბოლონიიდან“ მოხსნილი ფრანჩესკო გვიდოლინი და „ტორინოს“ ყოფილი მწვრთნელი ჯანკარლო კამოლეზე.

**პაპუნა ძიძია**



კრისტიან ვიერი

---

# ზოგი მოდაშია, ზოგი ძვირია
## ესპანელი ესპანეთშია კარგი

**„მილანის“** გენერალურმა დირექტორმა არიედო ბრაიდამ კლუბის სატრანსფერო გეგმებზე ისაუბრა. საქმე ის გახლავთ, რომ „შავწითლები“ ბოლოხანს უამრავ ფეხბურთელთან მოლაპარაკებაში შეამჩნიეს და ინტერესიც ამან გამოიწვია.

„ჩვენ ორ ბრაზილიელს განსაკუთრებით ვაკვირდებით — განუცხადა ბრაიდამ იტალიურ ყოველკვირეულ „კონტროკამპოს“ — ამ ორიდან ერთი „სან პაულუს“ თავდამსხმელი ლუის ფაბიანო გახლავთ, ხოლო მეორე „სანტოსის“ ცენტრალური მცველი ალექსი. ფაბიანო კრისტიან ვიერის ტიპის თავდამსხმელია, თუმცა მართალი რომ გითხრათ, გვიჯობს მას კიდევ დავაკვირდეთ“.

გაირკვა, რომ ჩემპიონთა თასის მფლობელნი „შტუტგარტის“ თავდამსხმელს კევინ კურანის და „ატლეტიკოს“ ფერნანდო ტორესსაც ერთობ დიდი ინტერესით უყურებენ.

„გერმანელი ამჟამად დიდ მოდაშია — თქვა დირექტორმა — ხოლო ტორესი ძვირია. გარდა ამისა, არის ერთი ნიუანსიც, ესპანელები თავიანთი სამშობლოს გარეთ მაინცდამაინც ვერ ყოჩაღობენ ხოლმე“.

**პაპუნა ძიძია**



ფერნანდო ტორესი


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



პარანა — კრუზეირო. მასპინძელთა დამარცხებით ლუსიანომ და მისმა თანაგუნდელებმა ჩემპიონობა დაიახლოვეს

# ლუშემბურგოს დროით
## ოქროს სამი ქულა აკლია

### ბრაზილია

**სერია A. XLIII ტური**

**ატლ. მინეირო — ფორტალეზა 2:0; ფიგეირენსე — ინტერნასიონალი 3:2; კურიტიბა — პონტე პრეტა 1:1; ფლამენგო — კრისიუმა 1:0; გრემიო — ვასკუ და გამა 4:3; სანტოსი — ფლუმინენსე 3:1; პარანა — კრუზეირო 1:3; სან კაეტანო — გოიასი 1:0; ბაია — ატლ. პარანენსე 0:2; გუარანი — კორინთიანსი 0:1; სან პაულუ — ვიტორია 3:1; პაისანდუ — ჟუვენტუდე 3:2**

გასულ უქმეებზე „კრუზეიროს" გაჩემპიონებას „სანტოსის" მოგებამ ხელი შეუშალა. ვანდერლეი ლუშემბურგოს გუნდმა კურიტიბაში „პარანას" სძლია. სტუმართა გამარჯვების შემოქმედი ალეში გახლდათ. პირველ ტაიმში ვიქტორ არისტისაბალს, მეორეში კი ვენდელს საგოლე პასები ალეშმა დაურიგა. შეხვედრის მიწურულს მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს, „კრუზეიროს" მარსიო ნობრემ მასპინძელი მცველების შეცდომით იხეირა, რასაც პარანელმა ევერტონმა უმალ გოლითვე უპასუხა.

„ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ჩვენ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ" — განაცხადა ნამატჩევს ვანდერლეი ლუშემბურგომ.

„სანტოსი" შინ რიო დე ჟანეიროს „ფლუმინენსესთან" მარცხდებოდა, რადგან მეორე ტაიმის დასაწისშივე ესკუერდინიას ძლიერ დარტყმულ ბურთს ჟულიო სერჟიო ვერ მისწვდა. ამ გოლიდან ოთხ წუთში სანტოსელებმა მეტოქე დაცხრილეს და მიჯრით სამჯერ გაუტანეს. ჯერ 18 წლის დიეგუმ დაჰკრა საჯარიმოს ხაზიდან, მერე კი ალექსმა და ფაბიანომ ორი ზუსტი თავური მიაყოლეს და „სანტოსს" ჩემპიონობის მცირე შანსი შეუნარჩუნეს. „ხანდახან მოედანზე სასწაულები ხდება და ფეხბურთი სწორედ ამითაა მომხიბლავი" — თქვა დიეგუმ თამაშის შემდეგ.

დარჩენილ სამ ტურში „კრუზეიროს" სამი ქულა ჰყოფნის საჩემპიონოდ და ვანდერლეი ლუშემბურგოს შეგირდები ალბათ, თავისას მიაღწევენ.

ხუთეულში მოსახვედრად დიდი ბრძოლაა გაჩაღებული, რადგან „კოპა ლიბერტადორესზე" თამაშის მსურველები მრავლად არიან. „სან პაულუ", მიუხედავად იმისა, რომ შინ „ვიტორიასთან" აგებდა, პირველივე ტაიმში დიეგო ტარდელისა და სოუზას გოლებით დაწინაურდა, მატჩის მიწურულს კი ფაბიო სიმპლიკომ სტუმრებს მესამე მიართვა.

„სან კაეტანო" შესვენებამდე სომალიას მიერ გატანილ ერთ გოლს დასჯერდა, რაც სამი ქულისთვის და მეოთხე ადგილზე გადასაბრძანებლად საკმარისი აღმოჩნდა.

ხუთეულში მოხვედრის კიდევ ერთმა მსურველმა პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალმა" „ფიგუერენსესთან" სტუმრად წააგო. მასპინძლებმა უილიამსი და ფერნანდინიოს წყალობით მეტოქეს პირველივე ტაიმში სამჯერ გაუტანეს, რასაც „ინტერნასიონალის" ვინიციუსმა მეორე ნახევარში დუბლით უპასუხა, მაგრამ პორტუალეგრელებმა მეტი ვერ შეძლეს.

„ატლეტიკო მინეირომ" „ფორტალეზა" მიიღო. შესვენებამდე დამხვდურმა ალექს ალვეშმა იხეირა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ენრიკემ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 43 | 28 | 7 | 8 | 88:44 | 91 |
| სანტოსი | 43 | 25 | 10 | 8 | 90:54 | 85 |
| სან პაულუ | 43 | 21 | 11 | 11 | 77:62 | 74 |
| სან კაეტანო | 43 | 18 | 14 | 11 | 46:33 | 71 |
| კურიტიბა | 43 | 20 | 9 | 14 | 63:55 | 69 |
| ინტერნასიონალი | 43 | 19 | 9 | 15 | 55:50 | 68 |
| ატლ. მინეირო | 43 | 17 | 15 | 11 | 72:59 | 66 |
| გოიასი | 43 | 17 | 11 | 15 | 73:57 | 62 |
| ფლამენგო | 43 | 17 | 11 | 15 | 61:68 | 62 |
| პარანა | 43 | 17 | 10 | 16 | 79:69 | 61 |
| ფიგეირენსე | 43 | 15 | 14 | 14 | 57:53 | 59 |
| გუარანი | 43 | 16 | 10 | 17 | 61:66 | 58 |
| კორინთიანსი | 43 | 15 | 11 | 17 | 59:57 | 58 |
| კრისიუმა | 43 | 16 | 9 | 18 | 54:63 | 57 |
| ატლ. პარანენსე | 43 | 16 | 8 | 19 | 60:67 | 56 |
| ვიტორია | 43 | 14 | 11 | 18 | 49:61 | 53 |
| ვასკუ და გამა | 43 | 12 | 13 | 18 | 53:66 | 49 |
| პაისანდუ | 43 | 15 | 11 | 17 | 70:75 | 48 |
| ჟუვენტუდე | 43 | 10 | 14 | 19 | 52:68 | 47 |
| ფლუმინენსე | 43 | 11 | 11 | 21 | 47:71 | 46 |
| პონტე პრეტა | 43 | 10 | 17 | 16 | 59:70 | 46 |
| ფორტალეზა | 43 | 11 | 12 | 20 | 51:67 | 45 |
| ბაია | 43 | 11 | 10 | 22 | 55:81 | 43 |
| გრემიო | 43 | 11 | 10 | 22 | 47:66 | 43 |

*„სან კაეტანოს" და „ჟუვენტუდეს" დამატებული აქვთ 3-3 ქულა, „ინტერნასიონალს", „კორინთიანსს" და „ფლუმინენსეს" — 2-2; „პონტე პრეტას" დაკლებული აქვს 1 ქულა, „პაისანდუს" — 8*

# სამხრეთული დარდუბალა

## არგენტინა

**აპერტურა. XV ტური**

**ლანუსი — ოლდ ბოიზი 3:2; ველესი — არსენალი 1:1; რასინგი — ინდეპენდიენტე 1:1; ატლეტიკო — ნუევა ჩიკაგო 1:1; ტალიერესი — ესტუდიანტესი 2:1; ხიმნასია — კოლონი 2:0; როსარიო — ოლიმპო 2:2; სან ლორენსო — ბანფილდი 1:0; ბოკა ხუნიორსი — კილმესი 0:0; ჩაკარიტა — რივერ პლეიტი 1:0**

ბაირესული „რასინგი" ისევ ელოდება. რას? „ინდეპენდიენტეს" დამარცხებას, რაც მთელი ათი წელია, ვერ მოუხერხებია. არადა, „რასინგის" „ინდეპენდიენტეს" დამარცხება ერთ რამედ უღირს. ხომ იცით, რასაც ნიშნავს არგენტინაში „ბოკა" — „რივერის" დაპირისპირება? ჰოდა, ბუენოს აირესის ორი სხვა გუნდის შებმაც, რომელთა სტადიონებს სულ 300 მეტრი აშორებს ერთმანეთს, იქაურთათვის არანაკლები ამბავია.

ამ უქმეებზე გამართული ამათი შეხვედრა 1:1 დასრულდა და „რასინგმა" ვენდეტა კიდევ ნახევარი წლით გადადო.

ამასობაში ლიდერმა „ბოკამ" ვერაფერი მოუხერხა ისე რა გუნდ „კილმესს" და უგოლო ფრის მერე მდევარ „სან ლორენსოს" ხუთი ქულითღა უსწრებს — რა თქმა უნდა, არც ხუთი ქულაა ურიგო ჰანდიკაპი. ამ მატჩში ბოკელებს აკლდათ ჭაბუკი კარლოს ტევესი, რონალდო სკიავიმ კი ხარიხა შეაზანზარა. თუმცა არც კილმესელები დარჩენილან ვალში და ძელს მათმა ლეანდრო ბენიტესმაც მოარტყა ბურთი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 16 | 10 | 5 | 1 | 27:7 | 35 |
| სან ლორენსო | 16 | 9 | 3 | 4 | 20:11 | 30 |
| როსარიო | 15 | 7 | 5 | 3 | 22:19 | 26 |
| ბანფილდი | 15 | 7 | 4 | 4 | 21:14 | 25 |
| კილმესი | 15 | 7 | 4 | 4 | 17:11 | 25 |
| ოლდ ბოიზი | 15 | 6 | 6 | 3 | 19:11 | 24 |
| ჩაკარიტა | 15 | 5 | 6 | 4 | 18:15 | 21 |
| არსენალი | 15 | 5 | 6 | 4 | 16:14 | 21 |
| რასინგი | 15 | 4 | 8 | 3 | 20:17 | 20 |
| ველესი | 15 | 5 | 5 | 5 | 16:20 | 20 |
| რივერ პლეიტი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:19 | 19 |
| ტალიერესი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:25 | 19 |
| ლანუსი | 15 | 3 | 9 | 3 | 18:20 | 18 |
| კოლონი | 15 | 4 | 6 | 5 | 16:18 | 18 |
| ესტუდიანტესი | 15 | 4 | 4 | 7 | 11:15 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 15 | 3 | 6 | 6 | 12:16 | 15 |
| ატლეტიკო | 15 | 3 | 6 | 6 | 16:23 | 15 |
| ხიმნასია | 15 | 3 | 5 | 7 | 9:18 | 14 |
| ოლიმპო | 15 | 2 | 4 | 9 | 11:21 | 10 |
| ნუევა ჩიკაგო | 15 | 2 | 4 | 9 | 12:25 | 10 |

## ურუგვაი

**კლაუსურა. XV ტური**

**დეპორტივო მალდონადო — ნასიონალი 3:0; სენტრალ ესპანიოლი — მირამარი 1:0; ხუვენტუდი — ლივერპული 2:5; დანუბიო — რივერ პლეიტი 2:0; დეფენსორ სპორტინგი — ბელა ვისტა 1:1; დეპორტივო კოლონია — პენიაროლი 2:5; ვილა ესპანიოლა — პლაზა კოლონია 0:0; ტაკუარემბო — ფენიქსი 0:2; უონდერერსი — სერო 1:1**

განთქმულმა პარაგვაელმა მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტმა, ვინაც ურაგვაული ბობოლა „პენიაროლის" კარს იცავს, ამ უქმეებზე ვინ დათვლის, მერამდენე გოლი გაიტანა. თანაც ჩილავერტმა პენალტით კი არა, უზადო საჯარიმო დარტყმით გაუტანა „დეპორტივო კოლონიას".



ხოსე ლუის ჩილავერტს გოლების გატანა ურუგვაიშიც არ დავიწყნია

ამ მატჩში ჩილავერტმა გატანის გარდა ორი გოლი თავადაც გაუშვა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა მეკარის გოლს ოთხიც მიაყოლეს და საბოლოოდ „პენიაროლმა" 5:2 მოიგო. ამ მოგებით „პენიაროლმა" 5-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა მეორეადგილოსან „მირამარ მისიონესთან".

და რასა იქმს ამ დროს ურუგვაელთა მეორე განთქმული კლუბი „ნასიონალი"? მან საარაკო საქმე ჩაიდინა — პროვინციულ „დეპორტივო მალდონადოსთან" დამარცხდა, რომელსაც სახელოვან დედაქალაქურ კლუბთან ფრე რაა, აქამდე ისიც ვერასდროს გაეხერხებინა, მუდამ აგებდა.

## პერუ

**ანდების** ძირს მდებარე ამ ქვეყანაში პირველი დივიზიონის ფეხბურთელები გაიფიცნენ, რაკილა ჯამში 800 ათასი დოლარი კუთვნილი ხელფასი ვერ აუღიათ. კლუბები კი ხელფასების გადახდის მაგიერ, ჩემპიონატი რომ არ ჩაიშალოს, თავიანთ ჭაბუკთა გუნდებს ათამაშებენ და არ ესმით, რომ ეს გამოსავალი არ არის. ასე მაგალითად, დიდ ლიმურ დერბის, „სპორტინგ კრისტალსა" და „უნივერსიტარიოს" შორის, რომელსაც ჩვეულებრივ 45 ათასი გადარეული მაყურებელი ესწრება-ხოლმე, ოდენ 100 მაყურებელი ჰყავდა. ახლა დასხდნენ და დაითვალონ, 45 ათასი გაუყიდავი ბილეთით რამდენი ფული დაკარგეს

## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი. XIII ტური**

**მალაგა B 1:3 ტერასა**

0:1 კიკე მარტინი (35), 0:2, 0:3 მოლისტი (45, 78), 1:3 მერინო (85პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 13 | 8 | 2 | 3 | 25:11 | 26 |
| ლევანტე | 13 | 6 | 6 | 1 | 13:4 | 24 |
| ალმერია | 13 | 6 | 6 | 1 | 16:10 | 24 |
| კადისი | 13 | 7 | 1 | 5 | 17:13 | 22 |
| ეიბარი | 13 | 5 | 5 | 3 | 12:9 | 20 |
| ალავესი | 13 | 5 | 5 | 3 | 11:9 | 20 |
| სპორტინგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:13 | 19 |
| ელჩე | 13 | 5 | 4 | 4 | 16:16 | 19 |
| კორდობა | 13 | 4 | 6 | 3 | 11:8 | 18 |
| ხეტაფე | 13 | 3 | 9 | 1 | 12:11 | 18 |
| ტენერიფე | 13 | 3 | 8 | 2 | 11:11 | 17 |
| სალამანკა | 13 | 3 | 7 | 3 | 11:11 | 16 |
| უელვა | 13 | 2 | 9 | 2 | 12:13 | 15 |
| ლას პალმასი | 13 | 2 | 8 | 3 | 16:18 | 14 |
| ლეგანესი | 13 | 2 | 8 | 3 | 9:11 | 14 |
| რაიო | 13 | 4 | 2 | 7 | 15:20 | 14 |
| სიუდად მურსია | 13 | 2 | 8 | 3 | 15:22 | 14 |
| მალაგა B | 13 | 2 | 5 | 6 | 15:19 | 11 |
| ეხიდო | 13 | 2 | 5 | 6 | 12:19 | 11 |
| ხერესი | 13 | 1 | 8 | 4 | 9:16 | 11 |
| ტერასა | 13 | 2 | 4 | 7 | 11:18 | 10 |
| ალხესირასი | 13 | 1 | 6 | 6 | 12:16 | 9 |

## სერბეთი

**პრვა ლიგა. XII ტური**

**ოფკ — ცრვენა ზვეზდა 1:0; კომი — ჟელეზნიკი 0:2; პარტიზანი — რადნიჩკი 3:1; ბორაცი — ბუდუჩნოსტი 2:0; სარტიდი — ნაპრედაკი 3:2; ვოივოდინა — ჰაიდუკი 0:0; ობილიჩი — ზემუნი 3:0; სუტიესკა — ზეტა 2:0**

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XIII ტური**

**ალემანია 1:0 ნიურნბერგი**

1:0 გომესი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 13 | 8 | 2 | 3 | 26:21 | 26 |
| კოტბუსი | 13 | 7 | 2 | 4 | 24:20 | 23 |
| ობერჰაუზენი | 13 | 6 | 4 | 3 | 24:17 | 22 |
| მაინცი | 13 | 6 | 4 | 3 | 21:16 | 22 |
| არმინია | 13 | 6 | 2 | 5 | 18:16 | 20 |
| კარლსრუე | 13 | 6 | 2 | 5 | 16:17 | 20 |
| ფიურტი | 13 | 5 | 4 | 4 | 25:20 | 19 |
| ნიურნბერგი | 13 | 5 | 4 | 4 | 23:18 | 19 |
| უნტერჰახინგი | 13 | 5 | 4 | 4 | 21:21 | 19 |
| დუისბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:17 | 19 |
| ლიუბეკი | 13 | 4 | 5 | 4 | 24:21 | 17 |
| ბურგჰაუზენი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:17 | 16 |
| რეგენსბურგი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:20 | 16 |
| უნიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:16 | 15 |
| აუე | 13 | 3 | 4 | 6 | 13:16 | 13 |
| ოსნაბრიუკი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:20 | 13 |
| ტრირი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:24 | 12 |
| ალენი | 13 | 3 | 1 | 9 | 14:27 | 10 |
| აინტრახტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## ჩილე

**კლაუსურა. XV ტური**

**რეინჯერსი — უნივერსიდად დე კონსეპსიონი 2:2; კობრელოა — უნივერსიდად დე ჩილე 3:2; აუდაქს იტალიანო — კოლო კოლო 1:1; კობრესალი — პალესტინო 0:0; უაჩიპატო — უნიონ ესპანიოლა 1:2. უნივერსიდად კატოლიკა — უონდერერსი** *მატჩი 87-ე წუთზე შეწყდა, როცა ანგარიში იყო 4:1*

## მექსიკა

**აპერტურა. XIX ტური**

**ხაგუარესი — კერეტარო 0:0; ატლანტე — ტიგრესი 2:2; ატლასი — ნეკაქსა 1:1; ამერიკა — პუებლა 4:1; მონტერეი — უნამი 0:1; პაჩუკა — მორელია 2:1; სან ლუისი — გვადალახარა 1:2; სანტოსი — ტოლუკა 3:2; ტეკოსი — კრუზ ასული 2:5; ვერაკრუსი — ირაპუატო 0:0**

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა. XV ტური**

**უიპეშტი — პეჩი 1:1; შოპრონი — ზალაეგერსეგი 2:1; მტკ — ფერენცვაროში 1:1; ბეკეშჩაბა — დიორ ეტო 2:0; ვიდეოტონი — პალადაში 1:2; დებრეცენი — შიოფოკი 0:1**

## იაპონია

**ჯეი ლიგა. XXIX ტური**

**სერეზო — შიმიცუ 5:1; კაშიმა — კაშივა 2:1; იჩიჰარა — ოიტა 1:1; სენდაი — იოკოჰამა 0:4; ივატა — გამბა 2:1; ნაგოია — ურავა 4:1; ტოკიო — ვერდი 1:1; კიოტო — კობე 0:2**

## სლოვენია

**სი მობილ ლიგა. XVII ტური**

**პრიმორიე — პუბლიკუმი 2:2; დრავა — ოლიმპია 3:4; შმარტნო — დრავოგრადი 2:1; დომზალე — ნოვა გორიცა 0:1; კოპერი — მურა 1:1; ლიუბლიანა — მარიბორი 2:1**

# ჭაობში ძნელია

## ამბობს დე ლა პენია და საგოლე პასებს არიგებს



*სანტანდერელი ივან დელა პენია, ვინც თავის დროზე „ბარსელონას“ მობურთალი გახლდათ, ამჟამად მეორე კატალონიური კლუბის, „ესპანიოლის“ ღირსებას იცავს და ლუის ფერნანდესის დანარჩენ შეგირდებთან ერთად „ლურჯ-თეთრი“ გუნდის საპრიმერო ჭაობიდან (ბოლო, მეოცე ადგილი) დახსნას თავგმოდებით ცდილობს. პირინეული ჩემპიონატის გასულ, მე-12 ტურში სწორედ მისი ჩანოდების შემდეგ შეძლო სირილ დომორომ „სევილიასთვის“ მატჩის 90-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაეტანა. ესპანურმა „ლიბრედირექტომ“ დელა პენიასთან ინტერვიუ სწორედ ამ გოლით დაიწყო*

**— დომორომ თქვენი საჯარიმო გოლად აქცია. გოლის მომენტი ნათლად გაარჩიეთ?**

— ყველაფერი კარგად დავინახე. დომორომ შეძლო „ესპანიოლისთვის“ უმნიშვნელოვანესი გოლის გატანა. გუნდი ახლა მძიმე მდგომარეობაშია და „ესტადიო ოლიმპიკოზეც“ 3 ქულის მოპოვება, რა თქმა უნდა, ჰაერივით გვჭირდებოდა.

**— როგორ გრძნობდით თავს ძნელი გამარჯვების შემდეგ?**

— დაღლილი ვიყავი, მაგრამ ვთვლი, რომ ეს გავლილი სამატჩო სიტუაციის შესაფერისი გრძნობაა. თამაში დაძაბულად წარიმართა, თან ლოპო გაგვიძევეს და შეხვედრის დასრულებაც უმცირესობაში მოგვიწია. თუმცა არ დავცემულვართ, რაშიც ინჩასთა მხარდაჭერამ დიდი როლი შეასრულა. გამარჯვება, ასე ვთქვათ, საერთო ძალებით მოვიპოვეთ.

**— „სევილია“ ხელწამოსაკრავი მეტოქე არაა. გუნდი საბრძოლოდ იყო განწყობილი?**

— მოგების ყველას გვჯეროდა. ვიცი, რომ არც ერთ ფეხბურთელს ფრეზე და მით უმეტეს წაგებაზე არ უფიქრია, სატურნირო ცხრილში მე-20 ადგილზე ყოფნა ოდენ თავგანწირულ ბრძოლას გვაიძულებს. „ესპანიოლი“ ახლა ნებისმიერი გუნდისთვის საშიშია.

**— მიუხედავად ქულათა მარაგის შევსებისა, კატალონიური კლუბი მაინც ესპანეთის ჩემპიონატის აუტსაიდერად რჩება...**

— სამაგიეროდ, საკუთარ ძალთა რწმენა აღვიდგინეთ და გულშემატკივარიც ოდინდელზე ბევრად უფრო მეტად გვენდობა. ამ გამარჯვებამ მიგვახვედრა, რომ სერიოზულად მუშაობა შეგვიძლია, ადრე თუ გვიან საფეხბურთო ფორტუნა ჩვენსკენაც უნდა შემოტრიალდეს.

**— „ესპანიოლის“ კაპიტანი ტამუდო და თქვენ მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდით. ფერნანდესის ტაქტიკური გადაწყვეტილებანი როგორ მოგწონთ?**

— ბუნებრივია, შეცვლაზე შესული ყველა ფეხბურთელი ვერ მოახერხებს თავისი შესაძლებლობების ასი პროცენტით გამოვლენას, თუმცა ამ მხრივ, მე და ტამუდოს საკმაოდ გაგვიმართლა — რაულმა მშვენივრად იბურთავა, ხოლო მე მატჩის ბოლო წუთზე შესანიშნავი გოლის თანაავტორი გავხდი. აქედან დასკვნა — ლუისი მშვენივრად ერკვევა სამწვრთნელო ტაქტიკაში.

**— ანუ ფრანგი დამრიგებლის შედეგიანობაში ეჭვი არ გეპარებათ...**

— იგი ჩინებული სპეციალისტია, მაგრამ მარტო ფერნანდესს არაფრის შეცვლა არ ძალუძს. „ესპანიოლის“ ჭაობიდან ამოთრევა ყველამ ერთად უნდა შევძლოთ. როგორც უკვე ვთქვი, სატურნირო მდგომარეობა მძიმეა, თუმცა არა კატასტროფული და უახლოეს მომავალში ლუისთან თანამშრომლობით ალბათ, დავძლევთ სეგუნდადივიზიონში გავარდნის საფრთხეს.

**— კატალონიურმა კლუბმა ამ სეზონში თავისი საუკეთესო თამაში ჩაატარა?**

— დიახ, ჯერჯერობით საუკეთესო. ათი ფეხბურთელით მოგება, ისიც 90-ე წუთზე და ისიც ჩვენი პრიმერაში ყველაზე უიღბლო ადგილის გათვალისწინებით — დამეთანხმებით, საკმაოდ შთამბეჭდავი ამბავია. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ გაგვამხნევა ამ გამარჯვებამ. მოთამაშეთა სამომავლო განწყობა აბსოლუტურად შეიცვალა.

**— თავად ივან დელა პენია „მაგიური ასი პროცენტის“ გამოვლენას როდის მოახერხებს?**

— უპირველეს ყოვლისა, ვისურვებდი, რომ გუნდის საქმეები ცოტათი იღბლიანად წარმართულიყოს. ჩემს გულშემატკივარს კი ვპირდები: რაც კი ადამიანს და ფეხბურთელს შეუძლი „ესპანიოლის“ სასახელოდ, მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებ. ამაზე მთავარი მიზანი ახლა ცხოვრებაში არ გამაჩნია.

# ჩაქუჩი დაავდე და თოფი აიღე

## დეფო და ვერპაკოვსკისი იანვარში შეიარაღდებიან





არსენ ვენგერი ჯერმენ დეფოს „არსენალის“ მაისურას სავარაუდოდ, იანვარში მოარგებს

**არსენ ვენგერმა** ვესტჰემელ ჯერმენ დეფოს თვალი ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაადგა, როცა „ჩაქუჩ-ვარსკვლავი“ პრემიერლიგაში თამაშობდა. „ვესტ ჰემი“ პირველ დივიზიონში დაქვეითდა და ოხრად ფინანსური პრობლემები დაუგროვდა. ამ სეზონში ფული „არსენალსაც“ შემოაკლდა, რადგან „მეთოფეები“ ახალ სტადიონს აშენებენ. მათი ბიუჯეტი მშენებლობაზე გადაქაჩეს, მაგრამ ვენგერს ჯერმენ დეფოს გადაყვანა ძალიან სურს და შესაძლოა, იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე „ჩაქუჩი“ „მეთოფე“ გახდეს.

ცნობილია, რომ ერთ-ერთი გერმანული კომპანია „არსენალისთვის“ 400 მილიონ გირვანქამდე კრედიტის გამოყოფას აპირებს და შესაძლოა, პრემიერლიგის ლიდერებს ჯიბის ფული გაუჩნდეთ. სწორედ ამის იმედზეა ფრანგი მწვრთნელი და დეფოს დაბევებას აქედანვე აპირებს.

ვენგერი დიდი ხანია, ტიერი ანრისთვის იდეალურ მეწყვილეს ეძებს. ორი წლის წინ „ევერტონიდან“ ფრენსის ჯეფერსი გადაიბირა, მაგრამ ყმაწვილი ინგლისელი ვერ ათამაშდა. ფრანგ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ჯერმენ დეფო — ანრის დუეტი უდავოდ ეფექტური იქნება.

„ვესტ ჰემი“ „ნოტინგემ ფორესტისგან“ 500 ათას გირვანქად ფორვარდ მარლონ ჰარვუდის წაყვანას ცდილობს. ფეხბურთელი კლუბს უკვე ეწვია და ექიმებთან შემოწმებაც გაიარა. აქედან გამომდინარე, ინგლისელმა ჟურნალისტებმა დაასკვნეს, რომ ჯერმენ დეფოს გადასვლა „არსენალში“ ფულისა და დროის ამბავია. „მეთოფეები“ თანაქალაქელ „ჩაქუჩებს“ დევიდ ბექემის სიძეყოფილის სანაცვლოდ ალბათ გვარიან თანხას გადაუხდიან და „ვესტ ჰემიც“ ხეირს ნახავს.

გარდა ამისა, „არსენალს“ ლატვიელი მეგოლე მარის ვერპაკოვსკისის გადაბირებაც სურს, რომელმაც ევრო-2004-ის პლეი ოფში თურქებს ორი გოლი გაუტანა და სახელი გაითქვა. ინგლისური „დეილი მირორის“ ცნობით, ვერპაკოვსკისი დეფოს მსგავსად ლონდონს იანვარში ეწვევა. ლატვიელი ფორვარდის ტრანსფერი თითქმის ასი პროცენტით გაჩარხულიაო, დასძინა გაზეთმა.

**მაჟა ხუციშვილი**

# ჰოლანდიას ლიონში მძებ, ჰე?

**საფრანგეთის** ჩემპიონ „ლიონს“ დაცვის ხაზის გაძლიერება გადაუწყვეტია. ფრანგული კლუბის აგენტები ჰოლანდიას რამდენჯერმე ეწვივნენ და იქაური „ტილბურგის“ თამაშებს დაესწრნენ. მათ ტილბურგელი მცველი კე იალიენსის თამაში მოსწონებიათ და ლიონში დაპატიჟეს.

იალიენსი დღეს ჰოლანდიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. მისი კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს იწურება. „ტილბურგში“ დარჩენას და კონტრაქტის გაგრძელებას უარობს, რადგან თვლის, რომ უკეთეს გუნდში გადასვლას იმსახურებს. ფეხბურთელს „ფეიენოორდიდან“ მიაკითხეს, მაგრამ იალიენსს უცხოეთში თამაში ამოუჩრია გულში და „ყვავილების ქვეყანაში“ კარიერის გაგრძელება არ სურს.

„უცხოურ კლუბში გადასვლა ევროპის მომავალ ჩემპიონატზე გამგზავრების შანსს გამიზრდის. აქ ნაკრების მწვრთნელი რატომღაც ვერ მამჩნევს და ეგებ „ლიონში“ გადასვლის შემდეგ აღმომაჩინოს“ — თქვა ფეხბურთელმა.

საფრანგეთის ჩემპიონთა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა ჰოლანდიელი ასე დაახასიათა: „შესაძლოა, კე იალიენსი სწორედ ის მოთამაშეა, რომელიც ჩვენს დაცვას ერთიორად გააძლიერებს, თუმც სინჯების გარეშე მასთან კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებთ. ჩამოვიყვანთ, გუნდთან ერთად ივარჯიშებს, ერთ-ორ მატჩში დავაკვირდები და მერე გადავწყვეტ — დავტოვო თუ არა.“

**მაჟა ხუციშვილი**

# სლოვაკეთი გალიშის ავტორიტეტს ენდო

**სლოვაკეთის** ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ვერ გააღწია და ეს არცაა გასაკვირი, რადგან შესარჩევ ჯგუფში ინგლისთან და თურქეთთან მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკებმა ინგლისელებთან ორივე მატჩში ჯიგრით იბრძოლეს და დამარცხდნენ, საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდნენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კი ნაკრების მწვთრნელი ლადისლავ იურკემიკი გაათავისუფლა.

დღეიდან ეროვნულ გუნდს 54 წლის დუშან გალიში ჩაიბარებს, რომელსაც 1976 წელს ევროპის ჩემპიონატი მოუგია. ჩეხოსლოვაკიის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ გალიში ბრატისლავის „სლოვანში“ მუშაობდა და გუნდი სამჯერ ჩემპიონი გახადა. გარდა ამისა, ტრნავის „სპარტაკში“, „პეტრჟალკასა“ და ნიქოზიის „ომონიაშიც“ მწვრთნელობდა.

ნაკრების კაპიტანი და გლადბახის „ბორუსიას“ ნახევარმცველი იგორ დემო ახალი თავკაცის დანიშვნას მიესალმა, რადგან დუშან გალიშის „სლოვანში“ უთამაშია და იგი ასე დაახასიათა: „მას უდიდესი ავტორიტეტი აქვს ქვეყანაში და ფეხბურთელებთან ურთიერთობაში თითქმის იდეალურია“.

გალიში ნაკრებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისთვის მოამზადებს.

**მაჟა ხუციშვილი**



საქართველოს უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპი 15 ჩემპიონატი

# 20 ტური ანონსი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 26 ნოემბერი. 15 საათი. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ

## ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ — ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ა. დურსუნიში; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: პ. ბურჯალიანი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 26 ნოემბერი. 15 საათი. ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

## ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ნ. კაკულია; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: გ. ცაავა

ᲤᲝᲗᲘ. 26 ნოემბერი. 15 საათი. ᲤᲐᲖᲘᲡᲘ

## ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ბ. ქარქაშაძე; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ბ. სიჭინავა

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. 26 ნოემბერი. 15 საათი. ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ

## ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ — ᲡᲘᲝᲜᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ასკაროლლი (ქარელი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ო. გუნთაძე; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ვ. ქორიძე

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. 26 ნოემბერი. 15 საათი. ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

## ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — ᲓᲘᲚᲐ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ლ. ჩილაჩავა; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ო. კორღალიძე

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 26 ნოემბერი. 15 საათი. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

## ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲛᲪᲮᲔᲗᲐ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ა. მილჩენკო; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: რ. შოთაძე

*დღეს მე-15 ეროვნულის მე-20 ტურია. მთავარი ჯახი ბათუმში იქნება: მოყოჩაღებული და ექვსეულის სუნით გაბრუებული „ბათუმი" ამბიციურ გორის „დილას" უმასპინძლებს. ამ მატჩს საფეხბურთოს გარდა პოლიტიკური ინტრიგაც დაერთო. ცნობილი მოვლენების შემდეგ აჭარაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ ბევრი ეჭვი დაბადა. გამოითქვა ვარაუდები თამაშის ჩაშლაზე, თუმცა, სიმართლე ვთქვათ, არა გვგონია, ასე მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, პროფლიგამ ამაზე იზრუნა და ორივე მხარისგან გარკვეული გარანტიები მიიღო. საქმეს ისიც აიოლებს, რომ გორის „დილას" პრეზიდენტი გელა ჩხეიძე „ალორძინების" წევრია.*

*გუშინ საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცი ნოდარ კაკულია ორივე გუნდის წარმომადგენლებს ესაუბრა და საიმედო პასუხიც მიიღო. პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი „ბათუმის" პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს და აჭარის ფეხბურთის ფედერაციას დაუკავშირდა. ლიგის პრესატაშის, პაატა ბურჯალიანის თქმით, სიტუაცია საგანგაშო არ არის, თუმცა ბათუმლებისგან გარანტია მაინც მიიღეს და თამაში აუცილებლად ჩატარდება.*

*გუშინვე ორივე გუნდის წარმომადგენლსაც გავესაუბრეთ*

# ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲗ!

### ᲐᲡᲚᲐᲜ ᲑᲐᲚᲐᲫᲔ (ბათუმი)



საშიში არაფერია. მართალია, აჭარაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, მაგრამ ეს მხოლოდ განსაკუთრებული კონტროლით გამოიხატება. სხვა მხრივ ბათუმში სიმშვიდეა. პოლიტიკა კი პოლიტიკაა და ჩვენ ამას ნუ შევეხებით. ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ, რომ თამაში არ ჩატარდეს. ქართველები ვართ და ერთმანეთთან გასაყოფი რა გვაქვს? ძლიერს და სუსტს მხოლოდ მოედანზე გავარკვევთ. სტუმრებს ვარწმუნებ, რომ პრობლემები არ შეექმნებათ. უბრალოდ, ჩოლოქზე გააკონტროლებენ, გაიგებენ, ვინ არიან და შემოუშვებენ. არა მგონია, ეს დიდი სალაპარაკო იყოს. სხვა საქმეა მსაჯების ჩამოსვლა. თუ მანქანით ჩამოვლენ, არც მათ ექნებათ პრობლემა, თუ არა, მატარებელი ურეკამდე მოდის და იქ მსაჯებს კლუბის წარმომადგენელს დავახვედრებთ. ასე რომ, საგანგაშო არაფერია.

### ᲒᲔᲚᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ (დილა)



ბათუმში ჩასვლა ჩვენთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. რა არის საშიში?! ქართველები ვართ და საქართველოში მგზავრობის უნდა გვეშინოდეს? „დილას" ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ დისკვალიფიკაციის გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლია. სხვა საფიქრალი ჯერჯერობით არ გვაქვს.

# ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ

## ᲛᲬᲘᲤᲔ ᲓᲐ ᲣᲒᲐᲠᲒᲘᲡᲘ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲚᲘᲒᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ შემოდგომა დღეს მთავრდება. ეს თვე ყველაზე უიღბლო „ვიტ ჯორჯიასთვის" იყო. ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ნოემბრის ოთხი მატჩიდან სამი წააგო და რაღა გასაკვირია, რომ დღეს „მერცხალის" შეჭმას ეცდება. ხელმძღვანელთაგან უეჭველად შეფუცხუნებული ვიტელები, იცოცხლეთ, მოიწადინებენ. თავის მხრივ, აუტსაიდერი ოზურგეთელები ეგებ „კოლხეთის" გმირობის გამეორებას ეცადნონ, მაგრამ თავს ძალიან უნდა გადაახტნენ, „ვიტ ჯორჯია" რომ წააქცინონ.

„სპარტაკ" — „ლოკომოტივის" საპირველწრეო ვაკური დაპირისპირება სენსაციური ფრით დამთავრდა, თუმც ვეჭვობთ, დღეს ამავე შედეგით დასრულდეს დედმამიშვილთა მატჩი. ძნელი სავარაუდოა საექვსეულოდ შემზადებული ცაკარიასის გუნდის გაწბილება. „ლოკომოტივი" ალბათ იოლად მოუგებს „პატარა ძმას".

წინა სეზონში ქუთაისელები ყველაზე მეტად „სიონმა" გააწბილა. სწორედ ბოლნისელებმა აჭამეს ალიყური „ტორპედოს" მშობლიური ქომაგის თვალწინ და თასის ფინალისკენ ისე გაიკაფეს გზა. ვეჭვობთ, ეს ამბავი ქუთათურთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ჟოაო კამპუშმა იცოდეს, მაგრამ ფეხბურთელებს ასეთი რამ არ ავიწყდებათ — „სიონმა" ხომ „ტორპედოს" მაშინ უეფას თასის საგზური წაართვა. სადღეისოდ მასპინძლებს კიდევ ერთი დიდი მოტივაცია აქვთ — „ტორპედოს" ჯერაც შერჩენია ექვსეულში მოხვედრის შანსი და ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის დამარცხება უეჭველად სჭირდება. მოკლედ, იომებენ ქუთაისში, ისევე როგორც ფოთში: „თბილისიც" ექვსეულისთვის იბრძვის და მასაც მხოლოდ მოგება აძლევს ხელს „კოლხეთთან", რომელსაც თავის მხრივ საექვსეულო პირი აღარ უჩანს.

ჩემპიონი „დინამო" კი ქულათა მარაგის გაზრდას შეეცდება. საამისოდ ივო შუშაკის გუნდს კარგი შანსიც აქვს — მეტოქედ „მცხეთა" ჰყავს.

### ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

**ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲠᲗᲔ ᲢᲣᲠᲘ**

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ
ᲓᲘᲚᲐ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ — ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ
ᲡᲘᲝᲜᲘ — ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ
ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

**ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ**

7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ — ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ — ᲡᲘᲝᲜᲘ
ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ — ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ — ᲓᲘᲚᲐ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ



# ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲜᲐ

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲔᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲐ

*დრო იყო, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲖᲔ დიდ იმედებს ამყარებდა ქართული საფეხბურთო საზოგადოება. მას შემდეგ წლები გავიდა — ყიფიანს საქმეები აერია და... ახალგაზრდა, ტექნიკური გამთამაშებლის კარიერა ლამის ტრავმებმა შეიწირა. მერე იყო უცხოეთში ფეხის მოკიდების მცდელობა...*

*ამ სეზონის წინ ყიფიანი თითქოს ვლადიკავკაზურ „სპარტაკ-ალანიაშიც" უნდა ჩარიცხულიყო, მაგრამ... ასეთმა უამრავმა „მაგრამ"-მა გიორგი მაინც საქართველოში დააბრუნა, ოღონდ არა მშობლიურ „ვიტ ჯორჯიაში": ის იმ „ტორპედოს" შეეკედლა, სადაც წლების წინაც თამაშობდა.*

*და ისევ მძიმე ტრავმა... გიორგი ყიფიანმა ახლახან მოირჩინა საზარდული და ვარჯიში განაახლა, თუმც დიდი შანსია, მალე ახალ კლუბში ვიხილოთ...*

— რამდენიმე დღეა, ვარჯიში დავიწყე. როგორც იქნა, გამოვჯანმრთელდი და ალბათ, მალე ვითამაშებ კიდეც.

**— ქუთაისში დაბრუნებას როდისთვის აპირებ?**

— ჯერ არ ვიცი. სრული დატვირთვით ვარჯიში აკრძალული მაქვს. ახლა სპეციალური პროგრამით ვემზადები.

**— ესე იგი, წლეულს თამაშს ვერ მოასწრებ?**

— ძნელი სათქმელია. გააჩნია რას მეტყვიან ექიმები.

**— ახლახან ქართველმა ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა ბერძნული კლუბი „იანინა" იყიდა. გავიგეთ, ამ კლუბში შენი გადაყვანა სურს...**

— ეს მეც მითხრეს. ამ დღეებში ყველაფერს გავარკვევ.

**— ეტყობა, სერიოზული მიწვევაა...**

— ზუსტად ნაღდად არ ვიცი. ხვალ ან ზეგ უნდა შევხვდე „იანინას" ხელმძღვანელობას და დაველაპარაკები. თუ შევთანხმდით, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. წინასწარ მეტის თქმა არ შემიძლია.

**— „ტორპედოსგან" დაბრკოლება არ გექნება?**

— არა. „ტორპედოსთან" კონტრაქტი პირველი ეტაპის დასრულებამდე მაქვს გაფორმებული. დარჩენილი სამი ტურიც და თავისუფალი ვიქნები.

**— ესე იგი, „იანინას" საკომპენსაციო თანხა გადასახდელი არ ექნება?**

— არა. დეკემბრიდან აღარავის ვეკუთვნი.

**— კვიპროსული ვარიანტიც გქონია...**

— ჰო, გიორგი ქორიძის „ევტაპასმაც" გამოთქვა ჩემი გადაბირების სურვილი, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებ.

**— სხვა ვარიანტები არ არის?**

— ყველაზე სერიოზული „ევტაპასი" და „იანინაა".

**— და რომელი გირჩევნია?**

— კვიპროსული პირობები თითქმის ზუსტად ვიცი. ახლა „იანინასთან" მოლაპარაკებებს ველოდები და მერე რომელიმეს ავირჩევ. არსად მეჩქარება, დრო მაქვს.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები თანავუგრძნობთ ტელეკომპანია „ევრიკას" სპორტულ მიმომხილველს ალეკო ლეჟავას
**ᲓᲔᲓᲘᲡ**
გადაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ტელეკომპანია „ევრიკას" სპორტულ მიმომხილველს ალეკო ლეჟავას
**ᲓᲔᲓᲘᲡ**
გარდაცვალების გამო

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

# 19 ტური

| | |
|---|---|
| მცხეთა 0:1 ბათუმი | მერცხალი 1:3 კოლხეთი |
| თბილისი 4:2 ტორპედო | სიონი 1:3 დინამო |
| დილა 1:0 სპარტაკი | ლოკომოტივი 2:1 ვიტ ჯორჯია |

მე-19 ტური უხმაურო გამოდგა, არც სენსაცია გამორევია და ბევრიც ვერაფერი გაირკვა. ამ ტურში ყველაზე მეტად ქუთაისის „ტორპედომ" იზარალა — მთავარ კონკურენტ „თბილისს" დაეჩაგვრინა და ექვსეულში მოხვედრა სათუო გაიხადა. ჟოაო კამპუშის გუნდის უიღბლობა ამით არ დამთავრებულა — რომან ახალკაცმა ბოლო წუთებზე ბილწსიტყვაობისთვის წითელი ბარათი დაიმსახურა, რაც ქუთათურთათვის საკმაო დანაკლისი იქნება მომდევნო მატჩებში.

სხვათაგან საინტერესო იყო ორი მატჩი: თბილისის „დინამომ" ბოლო ხუთ წუთში გატეხა „სიონი", „ლოკომოტივი" კი დედაქალაქურ დერბიში „ვიტ ჯორჯიას" დაეჯახა და მაგრადაც დააზიანა. სამ-სამი ქულა გაიყოლეს შინ ზღვისპირელებმა — „ბათუმმა" და „კოლხეთმა". ახალგაზრდული „სპარტაკი" ბოლო წუთზელა გატყდა გორში.

ტურის გამორჩეულ ამბებზე კი ქვემოთ მოგითხრობთ



ავარია... შეჯახებულ თბილისელ სანდრო იაშვილს და ბოლნისელ თემურ ვოლკოვს მნახველებიც არ მოაკლდნენ

## ჰეთ თრიქი
# მიკუჩაძის კოკისპირული



„თბილისის" თავდამსხმელი კოკა მიკუჩაძე ისე მარჯვედ ეძგერა ჟოაო კამპუშის „ტორპედოს", რომ საამსეზონოდ თავისი პირველი ჰეთ თრიქი გამოაცხო. საშუალოზე ოდნავ მაღალი, თხელი და მოქნილი კოკა „ტორპედოს" თავის ტკივილი გახდა. გოლები გოლებად და, კოკამ ასისტენტობაც არ დაიზარა — მეოთხე გოლი ქუთათურთა კარში სწორედ მისი იდეალური პასით გაიტანა თორნიკე აფციაურმა.

## დარჩებიან, არ დარჩებიან...
# რავა ტყვილა ჩამეიყვანეს

მარცხიანმა თბილისურმა ვოიაჟმა ქუთაისის „ტორპედოს" ბრაზილიურ დუეტს გეგმები აურია. ერიკსონ მარტინიო და რობსონ ლოპესის ბედი ჰაერში გამოეკიდა. მათი ქუთაისში დარჩენა „ტორპედოს" ექვსეულში მოხვედრაზე იყო დამოკიდებული. „ტორპედომ" კი „თბილისთან" წააგო და...

დარჩა თეორიული შანსი, რომლის რეალობად ქცევა თავად რიონისპირელებსაც არ სჯერათ. მარტინიო-ლოპესის „გაქუთაისლება" 8 დეკემბერს გადაწყდება — ჟოაო კამპუში კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძეს მოსკოვში ეახლება.



## ნაუჰილდებრანდა
# კოშკა ვერ შესწვდა...

ტიმო ჰილდებრანდზე ნაკლებისაცო, თქვა „დინამოს" მეკარე დავით გვარამაძემ და კაიხელა „მშრალი" სერია გამოიყვანა. „კოშკამ" 22 ოქტომბერს „ტორპედოსთან" ქუთაისურ მატჩში გაუშვა ბოლო წუთზე, მას მერე კი ხუთი თამაში ჰილდებრანდობდა და ეგებ შტუტგარტელი მეკარის რეკორდს მიახლოვებოდა, მეექვსე მატჩში ხელი რომ არ მოსცარვოდა. „სიონი" — „დინამოს" დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა, „კოშკას" ბორის გონჩაროვმა რომ გაუტანა. თუმც დინამოელი მეკარის მშრალი 525 წუთი მაინც გამოსარჩევი რამაა.



## ადვილი სათაური
# სათავშრო





თუ ღმერთი მართლა იმას სწყალობს, ვისაც მხრებზე თავი აბია, „ლოკომოტივზეც" ყოფილა ნათქვამი. „ვიტ ჯორჯიას" დამრიგებელ ზურაბ ბერიძეს მატჩამდელ პრესკონფერენციაზე „ლოკომოტივის" თავბურთელებზეც ვკითხეთ და პასუხად ის მოვისმინეთ, რომ მეტოქის თავურებით პარპაშს ხელს შევუშლითო. მაგრამ შეხვედრა რკინიგზელებმა მოიგეს და ორივე გოლი დავით სირაძის თავურებით გავიდა. თავი არც ლუის ცაკარიასს ჰქონია ფუყე — „ლოკომოტივს" თუ რამ საფეხბურთო ბარაქა ჰქონდა, სრულად გამოაჩინა.

### სიმბოლური ნაკრები

დავით სირაძე — ლოკომოტივი
კოკა მიკუჩაძე — თბილისი
ვიტალი დარასელია — დინამო
მიხეილ სოსელია — ლოკომოტივი
რევაზ ძმოსლიძე — ლოკომოტივი
ალეკო გოგობერიშვილი — დინამო
ლადო ახალაია — დინამო
გიორგი ლოლაძე — თბილისი
გამუკა წერეთელი — დინამო
გიგი კვარაცხელია — თბილისი
თამაზ ილურიძე — დილა

გუნდი: თბილისი

მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი — ლოკომოტივი

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 19 | 13 | 4 | 2 | 41:7 | 34 | 43 | 9 | 7 | 2 | 0 | 25:1 | 24 | 23 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:6 | 10 | 20 |
| 2 | სიონი | 19 | 10 | 7 | 2 | 27:14 | 13 | 37 | 10 | 7 | 2 | 1 | 18:9 | 9 | 23 | 9 | 3 | 5 | 1 | 9:5 | 4 | 14 |
| 3 | დილა | 19 | 10 | 3 | 6 | 28:18 | 10 | 33 | 10 | 8 | 1 | 1 | 18:5 | 13 | 25 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 8 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 18 | 9 | 5 | 4 | 30:13 | 17 | 32 | 9 | 5 | 3 | 1 | 17:4 | 13 | 18 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 4 | 14 |
| 5 | თბილისი | 19 | 8 | 4 | 7 | 33:25 | 8 | 28 | 10 | 6 | 2 | 2 | 23:12 | 11 | 20 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 8 |
| 6 | ლოკომოტივი | 19 | 8 | 4 | 7 | 28:22 | 6 | 28 | 10 | 7 | 2 | 1 | 19:7 | 12 | 23 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:15 | -6 | 5 |
| 7 | ბათუმი | 18 | 8 | 2 | 8 | 22:19 | 3 | 26 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 4 | 13 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:12 | -1 | 13 |
| 8 | ტორპედო | 19 | 7 | 4 | 8 | 19:24 | -5 | 25 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 20 | 10 | 1 | 2 | 7 | 5:18 | -13 | 5 |
| 9 | კოლხეთი | 19 | 6 | 3 | 10 | 15:24 | -9 | 21 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:13 | -4 | 11 | 10 | 3 | 1 | 6 | 6:11 | -5 | 10 |
| 10 | მცხეთა | 19 | 6 | 2 | 11 | 21:44 | -23 | 20 | 10 | 5 | 1 | 4 | 15:17 | -2 | 16 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:27 | -21 | 4 |
| 11 | სპარტაკი | 19 | 3 | 4 | 12 | 11:43 | -32 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:17 | -11 | 8 | 10 | 1 | 2 | 7 | 5:26 | -21 | 5 |
| 12 | მერცხალი | 19 | 2 | 4 | 13 | 17:39 | -22 | 10 | 10 | 1 | 3 | 6 | 6:13 | -7 | 6 | 9 | 1 | 1 | 7 | 11:26 | -15 | 4 |



გიტელი რევაზ გოცირიძე ბომბარდირებს წამოეწია

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 12 - | დავითაშვილი | თბილისი |
| | გონჩაროვი | სიონი |
| | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 10 - | კაკალაძე | ბათუმი |
| | ახალაია | დინამო |
| 9 - | ა. კაიდარაშვილი | დილა |
| 7 - | ვ. გორჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | ბაბედავა | მერცხალი |
| | სირაძე | ლოკომოტივი |
| | მიკუჩაძე | თბილისი |
| 6 - | გაბისკირია | სიონი |

## ასე არ სჯობია?!
# ალარატიანი

ქომაგობით გამორჩეულ ბოლნისელ გულშემატკივრებს თავიანთი ყოჩიც ჰყავთ, დავით ასათიანი, სახელით და გვარით ბევრი რომ არ იცნობს და უბრალოდ ალას რომ ეძახიან. ალას სიტყვას წონა და ფასი სტუმრისთვისაც აქვს. აგერ, მაგალითაც: „დინამო" „სიონს" ბოლნისში უგებდა. დინამოელებმა მორიგი შეტევა აწყვეს და კარში დასარტყმელად შემართული რატი ალექსიძე თანამსაჯმა ზეაღმართული ალმით შეაჩერა — თამაშგარეაო. დინამოელი უკმაყოფილო დარჩა, დროშიანს მიეჭრა და... ამ დროს ტრიბუნიდან ალამ დაუძახა — რატი, შვილებს გეფიცები, თამაშგარე იყოო. ალექსიძემ ორივე ხელი ასწია და უხმოდ გაშორდა მსაჯს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დღეს არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსს" ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩი ელის შტუტგარტში — გლაზგოელ „ჩაფრებს" მხოლოდ გამარჯვება უტოვებს მერვედფინალში გასვლის შანსს. რეინჯერსელ ჩვენებურებს შტუტგარტის აეროპორტში ჩასვლისთანავე დავურეკეთ*

# ქართველები დაცენტრეს

## არველაძე: ჩემი 60, ხიზანიშვილი: ჩვენი 50

*შოთა არველაძე:* ამ სეზონში „შტუტგარტის" დამარცხება მხოლოდ ჩვენ შევძელით, თანაც ისე მოვუგეთ, რომ ყველაფერში ვაჯობეთ. ერთი სიტყვით, „რეინჯერსში" ახლა კარგი განწყობაა.

**— „შტუტგარტს" გლაზგოში რომ მოუგეთ, მაშინ ჯანმრთელად იყავი, ახლა კი ორივე ფეხი გაწუხებს...**

— ეგეც მართალია და ახლა ჩემი შესაძლებლობების 60 პროცენტს თუ ვხარჯავ.

**— ბოლო შეხვედრაში „აბერდინთან" ფორვარდად ითამაშე და ალბათ შტუტგარტშიც იმავე პოზიციაზე იქნები.**

— არა, ნახევარდაცვის ცენტრში მომიწევს თამაში, თუმცა ფორვარდებთან ახლოს ვიქნები, ჩემს უკან კი ფერნანდო რიკსენი იქნება.

**— „შტუტგარტი" გლაზგოში დამარცხებამდე და მერეც სულ წაუგებელია — ერთხელაც ხომ უნდა გატყდეს ფელიქს მაგათის გუნდი, რაც ალბათ გარკვეული ხელშემწყობი ფაქტორია თქვენთვის.**

— ჰო, მაგრამ როდის გატყდება „შტუტგარტი", ვინ იცის, თუმც ჩვენთვის იღბალი ნამდვილად საჭიროა. მეტოქე ძალიან შეკრული, მოძრავი გუნდია. შტუტგარტელე-






ბიდან ყველაზე უფრო კევინ კურანის და ალექსანდრ გლებს გამოვარჩევდი.

*ზურაბ ხიზანიშვილი:* შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ვერ ვითამაშე — გრიპშეყრილს სიცხემ 40 გრადუსამდეც კი ამიწია. ახლა თავს ნორმალურად ვგრძნობ.

**— რა პოზიციაზე ითამაშებ?**

— დაცვის ცენტრში.

**— „რეინჯერსს" გამარჯვების რა შანსი აქვს?**

— ძალიან გვინდა მოგება — ეს ხომ ჩვენთვის ბოლო შანსია. „შტუტგარტი" მართლაც ძალიან ძლიერია, შინ „მანჩესტერსაც" კი მოუგო. შანსებს 50/50-ზე შევაფასებდი.

**— „რეინჯერსს" მხოლოდ მოგება უნდა და უნდა შეუტიოს კიდეც. ეს ალბათ დაცვაში სივრცეებს შექმნის. „რეინჯერსის" დაცვას ერთი-ორად გაუჭირდება?**

— დაცვას ვერ მოვაშიშვლებთ. მართალია, მხოლოდ გამარჯვება გვსურს, მაგრამ თუ ორი გოლი გავიტანეთ და სამი გავუშვით, ასეთ შეტევას რა აზრი აქვს?! მაკლიში შესაბამის ტაქტიკას შეგვირჩევს, შეტევაც ხომ დაცვიდან იწყება.

**დავით თავართქილაძე**

*დაახლოებით სამი წლის წინ რატი ალექსიძე თბილისის „დინამოდან" ლონდონის „ჩელსიში" გადავიდა. წლეულს, გაზაფხულზე კი „დინამოში" დაბრუნდა, მაგრამ დუბლინში ირლანდიის ნაკრებთან მატჩში ხერხემალი დაუზიანდა და ამ ტრავმის გამო თითქმის ორი თვე ლოგინად ჩავარდა. ალექსიძე ახლა ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას, თუმც მე-15 ეროვნულის ჩამთავრებას სამი ტურიღა უკლია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რატი და „დინამო" ერთხელაც გაიყრებიან.*

# თავს ისე ვუვლი, როგორც არასდროს

## ალექსიძემ ძველი დინამოს გემო გაიხსენა



**— სად აპირებ წასვლას, გაქვს კონკრეტული ვარიანტები?**

— „დინამოდან" წასვლას კი ვაპირებ, მაგრამ რა როგორ იქნება, ჯერ არ ვიცი. ისიცაა, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობას ჯერ არ დავლაპარაკებივარ, მაგრამ აქედან ალბათ მაინც წავალ. ფეხბურთი საქართველოში ისე ვერაა, როგორც უნდა იყოს და მირჩევნია, სხვაგან წავიდე.

**— გული არ გწყდება, „დინამოს" რომ ტოვებ?**

— გული ძალიან მაგრად მწყდება, მაგრამ რა გაეწყობა. ორეული რომ მყავდეს, იმას ნამდვილად დავტოვებდი „დინამოში".

**— „დინამოს" ახალ თაობაში თუ ხედავ საინტერესო ფორვარდს, რომელსაც, ასე ვთქვათ, დაუტოვებდი „დინამოს"?**

— სანდრო იაშვილის გარდა კიდევ არიან ასეთი ახალგაზრდები — მათი ძალიან დიდი იმედი მაქვს.

**— „დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ამასწინანდელ ინტერვიუში გვითხრა, გუნდში ახლებური, „დინამოს" იდეოლოგია უნდა შევქმნათო. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლანდელ „დინამოში" სათანადო მენტალიტეტი არ არის?**

— არ ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობა რას ფიქრობს, მაგრამ გუნდში დინამოური იდეოლოგია და მენტალიტეტი რომ არ იყოს, ჩემპიონობასა და თასს ვერ მივაღწევდით და ვერც ამაღლებული სულისკვეთებით ვითამაშებდით.

**— სულისკვეთების, მენტალიტეტის მხრივ როგორ შეადარებდი ამ „დინამოს" იმ „დინამოსთან", რომელშიც „ჩელსიში" წასვლამდე თამაშობდი?**

— მაშინ სულ სხვა სიტუაცია იყო, ახლა კი გუნდში უფრო გამკაცრებულია დისციპლინა, ივო შუშაკი უცხოელი მწვრთნელია და ძალიან მომთხოვნია. რაც შეეხება სულისკვეთებას, ადრე „დინამო" უფრო „დინამო" იყო, „დინამოს" სახელი უფრო მაგრად ფასობდა არა მხოლოდ ფეხბურთელებში, არამედ საერთოდ. ფეხბურთელებს სულ სხვანაირად გვეცვა „დინამოს" მაისურა.

**— კლუბის ხელმძღვანელობა ვითომ სწორედ ამ „სხვანაირი" გუნდის მენტალიტეტზე ზრუნავს?**

— „დინამოს" ახლანდელმა ხელმძღვანელობამ ბევრი სიახლე შემოიტანა კლუბში და ალბათ, ამ მხრივ რაღაცის გაკეთებასაც აპირებს.

**— ქართულ საფეხბურთო სამყაროში ღიად არა, მაგრამ ისე კი ხშირად გაიგონებ, ახლანდელი დინამოელები თავკერძები არიან, მსაჯებს აგინებენ...**

— კარგი იქნება, თუ ამას პირში გვეტყვიან და პირისპირ დაგველაპარაკებიან. „დინამოში" ასეთი ვითარება ნამდვილად არ არის, მსაჯებთან კამათი კი ყოველთვის იყო.

**— ესე იგი, „დინამოში" ჯანსაღი სულისკვეთებაა?**

— პრემიები, ფაქტობრივად, ჩამოგვაჭრეს, მაგრამ მაინც ვთამაშობთ, რადგან ეს „დინამოა" და ჩვენ ვართ გუნდი, რომელსაც ფეხბურთის თამაში უნდა. ასე რომ, „დინამოში" კარგი სულისკვეთებაა.

**— ტრავმის გამო სანაკრებო თამაშებიც გაგიცდა, რაც კარგ გუნდში გადასასვლელად ხელისშემშლელი ფაქტორია. არ აპირებ, აგენტი აიყვანო?**

— რომ არა ტრავმა, აქ აღარ ვიქნებოდი. ლოგინში გატარებული ორი თვე ფეხბურთელისთვის დიდი დარტყმაა. აგენტი არ მყავს, მაგრამ ჩემი ლონდონელი ადვოკატი არტურ დუკი მომეხმარება სხვა გუნდში გადასვლაში.

**— „დინამოდან" „ჩელსიში" — ახლა როგორ ფიქრობ, ამან უარყოფითი როლი შეასრულა შენი კარიერისთვის?**

— ეს მართლაც ძალიან დიდი ნახტომი იყო, მაგრამ ისიცაა, რომ არ გამიმართლა. როცა „ჩელსიში" მივედი, მაშინ გუნდს ჯანლუკა ვიალი წვრთნიდა, ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, ვარჯიშებსა და ამხანაგურ თამაშებში ვიალი ჩემით კმაყოფილი იყო, მაგრამ მერე კლაუდიო რანიერი მოვიდა გუნდში, რასაც ეიდურ გუდიონსენის და ჯიმი ჰასელბაინკის „ჩელსიში" გადმოსვლა მოჰყვა. ამის მერე ძალიან გამიჭირდა, თითქოს გავიჭედე კიდეც — ვერც ძირითადში ვთამაშობდი და „ჩელსიდანაც" ვერ მოვდიოდი. მაგრამ მერე გადავწყვიტე, ისევ „დინამოდან" დავიწყებ ყველაფერს-მეთქი.

**— უკვე 25 წლის ხარ — შესაძლებელია, ამ ასაკში ფეხბურთელმა კიდევ მოუმატოს თამაშს?**

— მთავარია, ფორმაში შევიდე, თორემ რაღაც-რაღაცეების სწავლა კიდევ შესაძლებელია, თუ კარგ გუნდში მოხვდები, ბევრ ახალს გაიგებ, გამოცდილება მოგემატება და ესეც თავისებური მომატებაა. რაც „დინამოში" დავბრუნდი, ჩემი თავით კმაყოფილი ერთხელაც არ ვყოფილვარ, ძალიან ვნერვიულობდი. ყველაფერ ამას ხერხემლის ტრავმაც დაერთო და იყო დრო, საერთოდ არ მეძინა, საჭმლის მიღებაც მიჭირდა. ძალიან ავირიე, მაგრამ ახლა ყველაფერი ნორმალურადაა — საკუთარ თავს ისე ვუვლი, როგორც არასდროს.

**დავით თავართქილაძე**



# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **აპერტურა. XVI ტური** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.10 | 453 | სან ლორენსო-ხიმნასია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 03.00 | 454 | ნიუელხი-ტალიერესი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 03.00 | 455 | კილმესი-ჩაკარიტა | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 03.00 | 456 | ბანფილდი-ნუევა ჩიკაგო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 03.00 | 457 | კოლონი-როსარიო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 03.00 | 458 | ესტუდიანტესი-ატლეტიკო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 459 | არსენალი-ბოკა ხუნიორსი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 01.40 | 460 | ოლიმპო-ველესი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,62 | 1,24 | 1,23 |
| | | **მექსიკა. აპერტურა** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 497 | ტოლუკა-ჩივასი | 2.4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 03.00 | 498 | კრუს ასული-ტეკოსი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 525 | შტუტგარტი-რეინჯერსი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 526 | პანათინაიკოსი-მანჩესტერი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 527 | მარსელი-რეალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.45 | 528 | პორტუ-პარტიზანი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.45 | 529 | ჩელსი-სპარტა | 1,25 | 5.0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 530 | ლაციო-ბეშიქთაში | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 531 | აიაქსი-მილანი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.45 | 532 | სელტა-ბრიუგე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 533 | ლევსკი-სლავია | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.15 | 534 | გროცლინი-სიტი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 20.00 | 535 | დნიპრო-დინამო(ზ) | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 536 | დებრეცენი-პაოკ | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 20.30 | 537 | ტორპედო-ვილიარეალი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 21.00 | 538 | ტეპლიცე-ფეიენოორდი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 21.00 | 539 | პარმა-ზალცბურგი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 21.15 | 540 | ბრიონდბიუ-შალკე | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.30 | 541 | ლანსი-გაზიანთეფი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.00 | 542 | ცრვენა ზვეზდა-რუსენბორგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 22.00 | 543 | დინამო(ბ)-სპარტაკი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 22.15 | 544 | არისი-პერუჯა | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 23.00 | 545 | მოლდე-ბენფიკა | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 23.00 | 546 | ვისლა-ვოლერენგა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.30 | 547 | ნიუკასლი-ბაზელი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.30 | 548 | ოსერი-უტრეხტი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.30 | 549 | სოშო-დორტმუნდი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.45 | 550 | ჰაიდუკი-რომა | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| 23.45 | 551 | ჰართსი-ბორდო | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 24.00 | 552 | ლივერპული-სტიაუა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 24.00 | 553 | მალიორკა-კოპენჰაგენი | 1.5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 00.15 | 554 | ბარსელონა-პანიონიოსი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 01.00 | 555 | სპორტინგი-გენჩლერბირლიგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **სამხრეთ ამერიკის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 03.50 | 556 | რივერ პლეიტი-სან პაულუ | 1.8 | 3.2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **26 ნოემბერი** | | | |
| 23.45 | 5508 | შტუტგარტი-რეინჯერსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5509 | პანათინაიკოსი-მანჩესტერი | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5510 | მარსელი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5511 | პორტუ-პარტიზანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5512 | ჩელსი-სპარტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5513 | ლაციო-ბეშიქთაში | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5514 | აიაქსი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5515 | სელტა-ბრიუგე | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**26 ნოემბერი**

23.45 5208 შტუტგარტი-რეინჯერსი ---- 1,8 ---------------------------- 1,8
23.45 5209 პანათინაიკოსი-მანჩესტერი 1,9 ---------------------------- 1,7
23.45 5210 მარსელი-რეალი ------------ 1,9 ---------------------------- 1,7
23.45 5211 პორტუ-პარტიზანი --------- 1,95 ---------------------------- 1,65
23.45 5212 ჩელსი-სპარტა --------------- 2,1 ---------------------------- 1.55
23.45 5213 ლაციო-ბეშიქთაში ----------- 1,9 ---------------------------- 1,7
23.45 5214 აიაქსი-მილანი --------------- 1,7 ---------------------------- 1,9
23.45 5215 სელტა-ბრიუგე --------------- 1,9 ---------------------------- 1,7

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------------ კი ------------------------------ არა

**26 ნოემბერი**

23.45 5308 შტუტგარტი-რეინჯერსი ------ 1,75 ---------------------------- 1.85
23.45 5309 პანათინაიკოსი-მანჩესტერი --- 1.7 ---------------------------- 1.9
23.45 5310 მარსელი-რეალი -------------- 1.65 ---------------------------- 1,95
23.45 5311 პორტუ-პარტიზანი ------------- 1.8 ---------------------------- 1.8
23.45 5312 ჩელსი-სპარტა ----------------- 1,85 ---------------------------- 1.75
23.45 5313 ლაციო-ბეშიქთაში ------------- 1,75 ---------------------------- 1.85
23.45 5314 აიაქსი-მილანი ----------------- 1,7 ---------------------------- 1.9
23.45 5315 სელტა-ბრიუგე ----------------- 1.7 ---------------------------- 1.9

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**26 ნოემბერი**

23.45 5408 შტუტგარტი-რეინჯერსი ------ 1.35 ---------------------------- 3.2
23.45 5409 პანათინაიკოსი-მანჩესტერი --- 2.6 ---------------------------- 1.5
23.45 5410 მარსელი-რეალი ------ -------- 1.9 ---------------------------- 1.9
23.45 5411 პორტუ-პარტიზანი ------------- 1.2 ---------------------------- 4.0
23.45 5412 ჩელსი-სპარტა ----------------- 1.15 ---------------------------- 4,4
23.45 5413 ლაციო-ბეშიქთაში ------------- 1.3 ---------------------------- 3,4
23.45 5414 აიაქსი-მილანი ----------------- 1.95 ---------------------------- 1,85
23.45 5415 სელტა-ბრიუგე ----------------- 1.35 ---------------------------- 3.2

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**29.11 16.30 5601 ინგლისი პლ (XIV)**
25 და ნაკლები – 1.9; 27 და მეტი – 1,9
**29.11 18.30 5602 გერმანია ბლ (XIV)**
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1.9
**29.11 21.00 5603 იტალია A (XI)**
23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
**29.11 20.00 5604 ესპანეთი Iდ (XIII)**
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
**29.11 20.15 5605 საფრანგეთი Iდ (XV)**
21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
**28.11 01.00 5606 პორტუგალია სლ (XII)**
22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
**29.11 23.00 5607 ბელგია Iდ (XIV)**
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 5008 | შტუტგარტი-რეინჯერსი | 1.85 | 2.35 | 5.6 | 1.03 | 1.39 | 1.65 |
| 23.45 | 5009 | პანათინაიკოსი-მანჩესტერი | 5.0 | 2.15 | 2.15 | 1.5 | 1.5 | 1.07 |
| 23.45 | 5010 | მარსელი-რეალი | 3.1 | 2.1 | 3.1 | 1.25 | 1.55 | 1.25 |
| 23.45 | 5011 | პორტუ-პარტიზანი | 1.45 | 3.2 | 8.0 | 1 | 1.22 | 2.28 |
| 23.45 | 5012 | ჩელსი-სპარტა | 1.4 | 3.4 | 8.0 | 1 | 1.19 | 2.38 |
| 23.45 | 5013 | ლაციო-ბეშიქთაში | 1.8 | 2.4 | 5.6 | 1.02 | 1.36 | 1.68 |
| 23.45 | 5014 | აიაქსი-მილანი | 3.3 | 2.05 | 3.0 | 1.26 | 1.57 | 1.21 |
| 23.45 | 5015 | სელტა-ბრიუგე | 1.85 | 2.35 | 5.6 | 1.03 | 1.39 | 1.65 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 5108 | შტუტგარტი-რეინჯერსი | 2.0 | 12,0 | 25.0 | 3.4 | 4.4 | 11.0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 5109 | პანათინაიკ.-მანჩესტერი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 8,0 | 4.4 | 3,5 | 20.0 | 10,0 | 2.5 |
| 23.45 | 5110 | მარსელი-რეალი | 3.8 | 10,0 | 20.0 | 4,6 | 4.4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3.8 |
| 23.45 | 5111 | პორტუ-პარტიზანი | 1,6 | 15.0 | 30.0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 25.0 | 15.0 | 15.0 |
| 23.45 | 5112 | ჩელსი-სპარტა | 1.5 | 20.0 | 40.0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30.0 | 17.0 | 17.0 |
| 23.45 | 5113 | ლაციო-ბეშიქთაში | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20.0 | 12.0 | 12,0 |
| 23.45 | 5114 | აიაქსი-მილანი | 4,0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4,6 | 20.0 | 10,0 | 3.8 |
| 23.45 | 5115 | სელტა-ბრიუგე | 2.0 | 10,0 | 20.0 | 3,4 | 4.4 | 11,0 | 20,0 | 10.0 | 10.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## RUGBY WORLD CUP 2003

### ჯილდოები

# რა საერთო აქვთ ბექემსა და უილკინსონს?



მსოფლიოს თასის შემდეგ **IRB**-მ წლისა და თასის რჩეულები და რჩეული გუნდები დაასახელა, რომელთა შორის, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისელები სჭარბობენ. წლისა და მსოფლიოს თასის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო თავისთავად ჯონი ულკინსონს ერგო. მორაგბის კვალობაზე ციცქნა „უილკო" — ის მხოლოდ 177 სანტიმეტრია — ცხადია, ზოგადად მორაგბის ეტალონად ვერ გამოდგება, მაგრამ სამაგიეროდ , ის 10 ნომრის საუკეთესო ნიმუშია. ხოლო რას წარმოადგენს 10 ნომერი, ამის ახსნით თავს არ შეგაწყენთ.

თავისი ლაურეატები გამოაცხადა პოპულარულმა საიტმა „პლანეტ-რაგბიმაც", თანაც არა მხოლოდ ბანალური (მაგალითად — ტურნირის მწვრთნელი, ან ტურნირის ახალგაზრდა) ჯილდოები დაარიგა. ბევრს ვირტუალური ანტიჯილდოც შეხვდა

## პლანეტ-რაგბის სამსოფლიოთასო ლაურეატები

### ტრადიციული ჯილდოები

**ტურნირის მოთამაშე**

რა თქმა უნდა — **ჯონი უილკინსონი**

**ტურნირის მწვრთნელი**

სხვა ვინ, თუ არა — **კლაივ ვუდვორდი**

**ტურნირის ახალგაზრდა**

**ჯო როკოკოკო** — 20 წლის ახალზელანდიელმა ნაკრებში თამაში წელს დაიწყო და 12 ტესტში 17 ლელო გაიტანა, თასზე 5 თამაშში კი ექვსი. ცოტაა?

**იმედგამაცრუებელი გუნდი**

**ახალი ზელანდია** — „შავები" ჩემპიონები რომ ვერ გახდნენ, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

**გაუმჯობესებული გუნდი**

**უელსი** — ჯგუფიდან ვერ გავლენო, ამათ კი კონკურენტებს მოუგეს, ჯგუფში ახალი ზელანდია აწვალეს და მეოთხედფინალში ინგლისი.

**ტურნირის გუნდი**

თავისთავად — **ინგლისი**




**ტურნირის მატჩი**

**ფინალური** — ბევრი ოცნებობდა ფინალში რეიტინგით პირველი გუნდი დაჯახებოდა მოქმედ ჩემპიონს, თან მასპინძელს. ავსტრალია — ინგლისის მატჩში ყველაფერი იყო, დამატებითი დროც და ბოლო წუთზე გატანილი გადამწყვეტი არეკნიც კი.

**ყველაზე უგემური მატჩი**

**გახსნითი მატჩი** — არგენტინას ავსტრალიის ძლევის შანსებსაც კი აძლევდნენ, სამხრეამერიკელები კი ძლივს ჩანდნენ შეხვედრაში.

**ტურნირის ლელო**

„პლანეტ-რაგბის" მწერლებს შერჩევა გაუჭირდათ. ბოლოს მკითხველს ფიჯიელი **რუპენი კაუკაუნიბუკა** შესთავაზეს — ამის სამი ლელოდან რომელიც გინდათ აირჩიეთო.

**ტურნირის მომენტი**

ჩვეულებრივ ცაცია ჯონი უილკინსონის მიერ მარჯვენა ფეხით გატანილი **ფინალური არეკნი**. ვის დაავიწყდება ეს მომენტი?

**უსიამოვნო ასპექტები**

**ქსენოფობიის** (უცხოთმოძულეობის) გამოვლინება ამ შვიდ კვირაში მას-მედიის ზოგიერთი წარმომადგენლისგან. აგრეთვე **უტვინოდ შედგენილი კალენდარი**, რომლის მიხედვითაც ზოგ გუნდს 14 დღეში 4 ჯგუფური მატჩის ჩატარება მოუწია.

**წასულების დღეგრძელობა იყოს!**

**კიტ ვუდი, ალ შარონი, ფაბიენ გალტიე, იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი** და კიდევ რამდენიმე ლომი ბებერი ინგლისიდან, თუნდაც **ჯეისონ ლეონარდი, მარტინ ჯონსონი** და **ლოურენს დალალიო**.



ეჰ, ველარ ვნახავთ ფაბიენ გალტიესა და კიტ ვუდს...

### სალაღობო ჯილდოები

**გუნდი, რომელმაც მოკურცხლა სასტუმროდან**

**შოტლანდია** — სქოთებმა მაშინვე ჩაალაგეს ჩანთები და მოუსვეს, როცა მიხვდნენ, ვის მეზობლადაც ცხოვრობდნენ. იმავე სასტუმროში ბანაკი დაეცა „ბანდიდოს" ბაიკერთა 200-კაციან ლაშქარს. ბაიკერები, მართალია, გადაჭარბებულად არ თავხედობდნენ, მაგრამ ბარში გვიანობამდე სვამდნენ და ღრიანცელით სასტუმრო აკლებული ჰქონდათ.

**ყველაზე დაბდურა კაცი**

**დენი გრივკოკი** — საქართველოსთან თამაშამდე ინგლისის მეორეხაზელს ხარკისერა თანაგუნდელმა ბენ კოენმა გასახდელში შემთხვევით დააბიჯა ფეხი და ცერი მოსტეხა.

**ინგლისის უდიდესი ფანი**

**უფლისწული ჰარი** — მისი ულოყებლაყლაყოვნესობა ინგლისის უფლისწული ყოველი მოგების შემდეგ ვუდვორდების კისერზე ეკიდა — მისტერ, მისის და მის ვუდვორდის კისერზეც კი.



ცოტაც და, უფლისწული ჰარი გულში ჩაიკრავს კლაივ ვუდვორდის ცოლ ჯეინს

**კრისტინა აგილერას სახელობის ჯილდო ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულისთვის**

**ინგლისელები** — „ძიების არმია" ერთადერთი დიზაინის სათამაშო ფორმით ჩავიდა ავსტრალიაში. და მაისურებიც წამდაუწუმ ეხეოდათ.

**მიწაზე დაბრუნების ჯილდო**

**მარტინ ჯონსონი** — ინგლისის კაპიტანმა თასი რომ ასწია, თავადაც ცაში აფრინდა. შვიდი საათის შემდეგ ბანკეტიდან რომ გამოვიდა ტაქსი ვერ დაიჭირა, სახლში ფეხით გასწია და წვიმაში მაგრად გაილუმპა.

**ბლერის და ბუშის სახელობის შეუფერებელი მეგობრობის ჯილდო**

**ჯონი უილკინსონი და დევიდ ბექემი** — ვინმეს მართლა ხომ არ ჰგონია, რომ ეს ორნი შეიძლება მეგობრები იყვნენ? რა საერთო უნდა გამონახონ მორცხვმა, თავჩახრილმა მორაგბემ და მდიდარმა, გაზულუქებულმა, პუბლიკას დახარბებულმა მეგავარსკვლავმა? ალბათ მარტო ბურთის აეროდინამიკაზე თუ ისაუბრებენ.

**დედის ჯილდო**

**ფილიპა უილკინსონი** — ჯონის დედამ ნერვიულობისგან ფინალს ვერ უყურა და საყიდლებზე სიარულით სცადა დაწყნარება. ბოლოს ერთ-ერთმა მეხილბოსტნემ უთხრა — შენმა შვილმა დამატებითი დროის ბოლო წუთზე არეკნი გაიტანაო, რაზეც ბედნიერმა დედამ, ცხადია, იტირა. მავან კვიმატ შემსწრეს კი უთქვამს — იქნებ ხახვმა აატირა ქალბატონი უილკინსონიო.




ფილ და ფილიპა უილკინსონები ჯონიმ სიხარულით ცას სწია

**სტივ რედგრეივის სახელობის ჯილდო ნაკრებში აღდგენილი მოთამაშისთვის**

**მაიკ ქეთი** — ინგლისის შუამარბს მთელი 2002 წელი არ უთამაშია. მსოფლიოს თასამდეც იშვიათად ჩანდა, მაგრამ ვუდვორდმა დააბრუნა და ქეთიც ლამის ძირითადის მოთამაშე გახდა.

**ილუზიონისტ ჰარი ჰუდინის სახელობის ჯილდო უჩინარი მოთამაშისთვის**

**ვენდელ სეილორი** — ავსტრალიის გარემარბი ფინალში პირველად 70 წუთზე გამოჩნდა, როცა ის ჯო როფით შეცვალეს და ამ კაცს გვერდით ჩაურბინა.

# საჩემპიონო ალავერდი გუჯეჯიანმა ჭიქაში მომავალი დაინახა



გადრი კოთოლაძის ფოტო

*გუშინწინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც ბოსნიის მთავარქალაქ სარაევოდან ერთი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა. ქართველებს სარაევოში სამ წონაში აკლდათ ფალავანი — 60 და 90 წონით კატეგორიებში მოჭიდავეები ბოსნიაში უსახსრობის გამო ვერ გაემგზავრნენ, სარაევოში ჩასული ზაზა კედელაშვილი კი დასაშვებზე 400 გრამით მეტი აღმოჩნდა და 66 წონაში ველარ იჭიდავა. ბრინჯაო ერგოთ 81 წონით კატეგორიაში მოასპარეზე გრიგოლ შინჯიკაშვილსა და ასკილოიან ლევან რაზმაძეს. მძიმეწონოსანი ჩემპიონი ლაშა გუჯეჯიანი კი გუშინ რედაქციაში გვესტუმრა...*

**— ლაშა, გილოცავ ჩემპიონობას. სანამ შენს ბრძოლებზე მოგვიყვებოდე, ზაზა კედელაშვილის ამბავი გვითხარი.**

— რაც ზაზას შეემთხვა, მთლიანად ჩვენს ნაკრებს ეხება. სარაევოში ვენის გავლით გავემგზავრეთ, თუმც ავსტრიის დედაქალაქის აეროპორტში 28 საათი ვიყურყუტეთ. ბურუსიაო და სარაევომ თვითმფრინავის მიღებაზე უარი თქვა. თითქმის გამოირიცხა, რომ ტურნირის დაწყებამდე ჩავიდოდით სარაევოში. ზაზა კედელაშვილიც, რომელსაც პირველ დღეს უნდა ეჭიდავა, ტურნირში მაინც არ ვმონაწილეობო და სპორტული დიეტა დაარღვია. ჰოდა, კაი სმა-ჭამის შემდეგ წონაშიც მოიმატა.

**— თუ ცნობილი იყო, რომ კედელაშვილი ტურნირში ველარ მიიღებდა მონაწილეობას, სარაევოში რატომ გაიყოლეთ?**

— ზაზა არც მოგვყვებოდა, მაგრამ სანამ ვენიდან თბილისის რეისი გაფრინდებოდა, სარაევოდან ცნობა მოვიდა, ტურნირი ცოტა დაგვიანებით დაიწყებაო. ამ ამბავმა ვერ მოუსწრო უკრაინის ნაკრებს, რომელიც ვენიდან უკანვე გაბრუნდა. კედელაშვილს რაღა უნდა ექნა, საჭმელს აღარ გაეკარა, მაგრამ ზედმეტ წონას მაინც ველარაფერი მოუხერხა. აწონვებზე რომ მივედით, დასაშვებზე 400 გრამით მეტი აღმოჩნდა.

**— 400 გრამი რაღა იყო, რამენაირად ოფლი მოედინა აწონვამდე...**

— ზაზას ბუნებრივი წონა 70 კილოგრამია და ამ ტურნირისთვის ისედაც ბევრი ჰქონდა დაკლებული. ამიტომაც ველარ მოხერხდა მისთვის ზედმეტი წონის დაკლება.

**— ესე იგი კედელაშვილი ქომაგობას დასჯერდა. სხვები როგორ შეგხვდნენ ქართველებს?**

— ძიუდოში ქართველებს ნალდად გვეთქმის ჩვენი სიტყვა, მით უმეტეს ევროპაში. როცა ტატამზე ჩვენი ბიჭები გადიოდნენ, ტრიბუნებზე ჩამიჩუმი არ იყო. სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ორთაბრძოლები კი შედარებით ნაკლებ ინტერესს იწვევდა.

**— როგორც შედეგებიდან ჩანს, ჩემპიონობა არ გაგჭირვებია...**

— რომ ვთქვა, ცალი ხელით მოვიგეო, მოგატყუებთ, მაგრამ წინასწარ დარწმუნებული ვიყავი ჩემს თავში და მხოლოდ ჩემპიონობა მსურდა.

**— რა იყო ასეთი თავდაჯერების მიზეზი?**

— ჯერ ერთი, კარგ ფორმაში ვიყავი, მაისში გამართულ ევროპის ექსპერიმენტულ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, რომელშიც 23 წლამდე ძიუდოისტები მონაწილეობდნენ, ფინალში გავედი და იქ ჩემზე 4 წლით უფროსთან დავმარცხდი. სარაევოში კი 1984-85-წლიანები შეკრებილიყვნენ და შესაბამისად კონკურენტებიც ნაკლებად მყავდა. იყო ერთი მიზეზიც. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ ჩემი მეგობრისა და თანაგუნდელის, დავით ქევხიშვილის სადღეგრძელოს შემდეგ თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ სარაევოდან ოქროს ჩამოვიტანდი. გამგზავრების წინ მე და დათომ სიმბოლურად თითო ჭიქა ავწიეთ, მან გზა დამილოცა და მითხრა, ჩემზე ნაკლები შედეგისთვის არ მიგელწიოსო. გეცოდინებათ, ქევხიშვილმა შარშან ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო. ჭიქები რომ მივაჭახუნეთ, ღვინო შიგ თანაბრად ესხა, სასმისების თავ-ბოლოც ზუსტად თანაბრად შეეხო ერთიმეორეს. ეს ორივემ შევამჩნიეთ და იმ მომენტში ვირწმუნე, რომ ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი.

**— საჩემპიონო გზაზე ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდა?**

— ფინალამდე იოლად მივედი. ჯგუფში ჩეხს მოვუგე ორ წუთში. შემდეგ ბელარუსი დავამარცხე ორი ვაზარით, ნახევარფინალში კი ინგლისელს იპონით ვაჯობე. ფინალში უნგრელი შემხვდა, რომელმაც ეგრევე საკუთარ ილეთზე დამიჭირა და დაწინაურდა. 30 წამში მასაც იპონი გავუკეთე და ჩემპიონი გავხდი.

**— ეს ჩემპიონობა ხელს ვერ წაგაშველებს, მაგრამ შენ ათენის საოლიმპიადო ლიცენზიისთვისაც ხომ იბრძვი...**

— აქამდე სამ სალიცენზიო ტურნირში მოვიპოვე ქულები, მაგრამ წინ კიდევ არაერთი შეჯიბრია. ვერ ვიტყვი, რომ დიდი შანსი მაქვს ათენში გასამგზავრებლად, მაგრამ ჩემსას ვეცდები.

**— ოლიაპიადას უმიზნებს მძიმეწონოსანი ზვიად ხანჯალიაშვილიც...**

— თუ სალიცენზიო ქულების მოპოვება ორივემ მოვახერხეთ, მაშინ უპირატესობას საქართველოს ჩემპიონს მიანიჭებენ, რომელიც დეკემბერში გამოვლინდება. მაგრამ მარტო ჩვენ არა ვართ, ალექსი დავითაშვილსაც შეუძლია, კონკურენცია გაგვიწიოს.

**— სარაევოში არ წამოგყვნენ 60 და 90 კილოგრამში მოჭიდავენი...**

— ყველაფერი უსახსრობის ბრალია, ბოსნიაში ჩვენი გამგზავრებაც შეგროვილი ფულით მოხერხდა. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ფინანსურად დაგვიდგა გვერდში. ამათ შორის არიან ჩემი და ჩემი გუნდელების ბიძები, ნათესავები, მშობლები და, ცხადია, სპორტის დეპარტამენტიც.

**— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის რანგში სარაევოში ბორია ფირცხელანის დებიუტი შედგა...**

— პირადად მე მას დიდ მადლობას ვუხდი და წარმატებებს ვუსურვებ. იგი პერსპექტიული მწვრთნელია, მონდომებულიც და მჯერა, უკეთეს შედეგებსაც მიაღწევს.

**ირაკლი პერტაია**





ერთიანი ბიბლიოთეკა

რეზა ზადემ ეს ოქროც ასწია

# რაც ზადემ აზიდა...

**გასულ** უქმეებზე ვანკუვერში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ბოლო დღეს ბრძოლაში ორი უმძიმესი წონის სპორტსმენები ჩაერთნენ. 105 კილოგრამში ჩემპიონობა ყატარელმა საიფ ასადმა იზეიმა, რომელმაც ჯამში 422,5 კგ ასწია და შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორ რუს, ვლადიმერ სმორჩკოვს 5 კილოთი აჯობა. ბრინჯაო კი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატებზე მუდმივად პრიზიორებში მოტრიალე თურქ ბუნიამი სუდასს შეხვდა.

+105 კილოგრამში ზედიზედ მეორედ იჩემპიონა 25 წლის ირანელმა რეზა ზადემ, რომელმაც უახლოეს მდევარს, უკრაინელ არტიომ უდაჩინს დიდი უპირატესობით აჯობა. მესამე ადგილი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მკაცრად დასჯილი ბულგარეთის წევრმა ველიჩკო ჩოლაკოვმა დაიკავა.

**105 კგ**

**1. ასად საიფ ასადი (კატარი) — 422,5 კგ (195+227,5)**

**2. ვლადიმერ სმორჩკოვი (რუსეთი) — 417,5კგ (195+222,5)**

**3. ბუნიამი სუდასი (თურქეთი) — 415კგ (185+230)**

**+105კგ**

**1. ჰუსეინ რეზა ზადე (ირანი) — 457,5კგ (207,5+250)**

**2. არტიომ უდაჩინი (უკრაინა) — 450კგ (210+240)**

**3. ველიჩკო ჩოლაკოვი (ბულგარეთი) — 447,5კგ (205+242,5)**



# კოკკაი აბობოქრდა
## ქართველმა სუმოტორმა ელიტა გააევროპელა

**90-იანი** წლების ბოლოს იაპონიაში გადახვეწილმა სოხუმელმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ლევან ცაგურიამ ძალა იქაურ სუმოშიც მოსინჯა და გარკვეული საკვალიფიკაციო ეტაპების გავლის შემდეგ ნელ-ნელა ანგარიშგასაწევ სპორტსმენადაც ჩამოყალიბდა. ამ დღეებში კი ქართველმა მძიმეწონოსანმა ფუკუოკში გამართული პროფესიული სუმოს ტრადიციულ ტურნირზე წარმატებულ გამოსვლით ახალი ისტორია შექმნა.



ფსევდონიმ კოკკაით (შავი ზღვა) სახელგანთქმულმა ცაგურიამ ამჯერად მეორე ელიტარულ დივიზიონ ძიურიოში ჩაატარა 14 შეხვედრა, ყველა მოიგო, პატარა თასს დაეუფლა და სუმოს გრანდებში გარევის უფლებაც მოიპოვა. ამასთან, საკუთარი საბანკო ანგარიში 2 მილიონი იენით (16,5 ათასი დოლარით) გაზარდა. გადამწყვეტ ბრძოლაში ლევანმა თავისზე ბევრად გამოცდილი და უფროსი მოწინააღმდეგე დაამარცხა, რომელსაც აქამდე უმაღლეს დივიზიონშიც მოესწრო ჭიდაობა.

ამიერიდან 22 წლის ცაგურია უმაღლეს დივიზიონ მაკუუტიში პლანეტის უძლიერესი სუმოტორების გვერდით გამოვა, რაც აქამდე ვერც ერთ ევროპელს ვერ მოეხერხებინა.

ლევან ციგურიას — თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი ქართველის დებიუტი პროფესიულ სუმოში 2001 წლის მაისში შედგა და მას შემდეგ 136 შეხვედრიდან მან 96-ჯერ იმარჯვა. მოგება-წაგებას შორის ასეთი ბალანსი კი სპორტის ამ სახეობაში რიგიან შედეგად მიიჩნევა.

**შვიდი მწვერვალი.**

# იალბუზი

*„შვიდი მწვერვალის“ პროგრამით ყველა კონტინენტის უმაღლესი პიკების გაცნობა, შორს რომ არ წავიდეთ, იალბუზით დავიწყოთ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენი კონტინენტის უმაღლესი მწვერვალია, არამედ იმიტომაც, რომ იალბუზი აქვე, კავკასიონზეა და თანაც პირველი იმ შვიდეულში, რომელზეც ადამიანმა ფეხი შედგა.*

*ეს მოხდა...*

*თუმცა, თარიღი და პირველამსვლელის ვინაობა დანამდვილებით ცნობილი არ არის, მაგრამ ამაზე ქვემოთ, ჯერ კი თავად იალბუზი გავიცნოთ.*

**ორთავა** იალბუზი კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრთან ძალზე ახლოს მდებარეობს, ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე. ცენტრალურ კავკასიონს იგი ხოტიუთაუს ქედით უკავშირდება. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კარგად მოსჩანს მისი ორივე მწვერვალი, რაც ქალის მკერდს მიაგავს. აღმოსავლეთიდან ან დასავლეთიდან იალბუზი ერთთავა ბუმბერაზად წარმოგვიდგება. საქმე ისაა, რომ ამ დროს ერთი თავი მეორეს ეფარება, უშველებელ კონუსად მოსჩანს და დათოვლილი გრანდიოზული თავის ზვინივით გამოიყურება.

იალბუზზე ასულ კაცს იქაურობა ერთ უშველებელ ფიალასავითც წარმოუდგება. უთოვლო, ვეება კრატერის ძირში ლოდები ყრია. შიშველი ლოდებია ღრმულის შიდა ფერდობებზეც, მის ზედაპირზე კი, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში გახლდით, თოვლის თხელი ფენა იდო. არადა, ამ მწვერვალის ფერდობებზე ყოველმხრივ თავზესაყრელი ყინული, ფირნი და თოვლია, რომლის საერთო ფართობი 144 კვადრატულ კილომეტრს აჭარბებს. მწვერვალის ფერდობებიდან 77 ყინვარი განიტოტება, რომელთა სისქე ზოგან 400 მეტრს აღწევს. მწვერვალზე ზაფხულშიც კი მუდმივი ყინვაა და ყოველივე ამის გამო ევროპის სახურავს მუდმივი ყინვის გამო პატარა ანტარქტიდას უწოდებდნენ.

სამწუხაროდ, ყინვართა ენები გლობალური დათბობის გამო ნელნელა უკან იხევენ. ამიტომაც 1887 წლის მერე 80-90 მეტრით დამოკლდნენ. თუმცა, ეს გიგანტური ყინულის ენები ახლაც ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურებიან.

იალბუზი, ცხადია, ყოველთვის ასეთი არ იყო. იგი ასობით ათასი წლის წინათ დაიბადა. მის ამქვეყნად მოვლენამდე უკვე არსებობდა კავკასიონი, ერთ მშვენიერ დღეს კი ქვესკნელში ტექტონიკური ძვრები დაიწყო, ვულკანმა ამოხეთქა, ცაში უშველებელი ქვები ამოაფრქვია და უზარმაზარი რაოდენობით ლავა დაიძრა. ერთ ამოხეთქვას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, რასაც ბოლო არ უჩანდა. მერე, როცა იქაურობა დაცხრა, დაშოშმინდა, გაცივდა და მრავალი წლის მერე რღვევაც კი დაიწყო, ვულკანმა გაიღვიძა და ახალი ძალით იფეთქა. ხანგრძლივ ბორგვას ისევ ძილი მოჰყვა, რათა კვლავ გაეღვიძა და ასე გაუთავებლად ათასობით წლის განმავლობაში გაგრძელებულიყო.

ასე და ამგვარად იბადებოდა კონუსური მწვერვალი.

მოგვიანებით ამ ერთ მთაზე ორი დამოუკიდებელი კრატერი წარმოიშვა, საიდანაც ამოფრქვეულმა ვულკანმა ორი დამოუკიდებელი მწვერვალი წარმოშვა, რომლებიც ერთმანეთს ღრმა უნაგირათი დააშორა. ვულკანმა თავდაპირველად აღმოსავლეთ მწვერვალზე ჩაიძინა, მერე კი დასავლეთისაზეც, რომელიც უფრო ახალგაზრდაა.

ახლა იალბუზის ვულკანურ დაბადებას მის მწვერვალზე ვეება კრატერი გვახსენებს და მისი აღმოსავლეთის პიკიდან გამონაჟონი გოგირდოვანი გაზებიც.



იალბუზი და სავარაუდოდ მცირე აზიაში დამზადებული ვერცხლის ჭურჭელი მთების ფონზე გამოსახული ცხოველებით



ასეთი პეიზაჟია იალბუზის კენწეროდან



შესვენება 5 000 მეტრის სიმაღლეზე



ამ მთებს გადაღმა საქართველოა ცენტრში — ორთავა უშბა

იალბუზის სიმაღლე პირველად რუსმა აკადემიკოსმა ვიშნევსკიმ გამოითვალა და 5421 მეტრი მიიღო, მოგვიანებით კი დადგინდა, რომ დასავლეთის მწვერვალი 5642 მეტრია, აღმოსავლეთისა კი 5621, ხოლო მათი გამყოფი ღრმა უნაგირას მაქსიმალური სიმაღლე — 5350 მეტრი.

ამ ორთავა ბუმბერაზზე ასულ კაცს თვალწინ ზღაპრული სანახაობა ეშლება. აქედან განსაკუთრებით კარგად მოსჩანს ცენტრალური კავკასიონის მწვერვალები, მათ შორის ჩვენი ორთავა უშბა, ჯანღასა და შხარას მასივები, რომელზეც კავკასიონის სიმაღლით მეორე, საქართველოსთვის კი უმაღლესი პიკია აღმართული. შორს, აღმოსავლეთით მოსჩანს ასევე ხუთიათასიანი მყინვარწვერიც, სადაც, ბერძენთა თქმით, იმათი პრომეთე, ჩვენებურად კი ამირანი იყო მიჯაჭვული.

უცხოელთათვის კავკასიონი სწორედ ბერძნებმა აღმოაჩინეს. მათთვის დედამიწა სწორედ აქ თავდებოდა და სხვა სამყარო იწყებოდა. თუმცა, იალბუზს იცნობდნენ ამიერ და იმიერ კავკასიელები, რომლებიც მის გაღმა-გამოღმა ცხოვრობდნენ. მათთვის დედამიწა არც აქ იწყებოდა და არც თავდებოდა, იალბუზი კი მის კენწეროდ მიაჩნდათ, სადაც ზეციურ, იდუმალ თუ მაგიურ ძალთა სავანე ეგულებოდათ.

ჩერქეზები ამ მწვერვალს „აშ გამახოს“ უწოდებენ, რაც წმინდა მთას ნიშნავს. მათი ერთი ლეგენდის მიხედვით, საკმარისია, „აშ გამახოს“ შეხედო და განიკურნები. იგივე ხალხი ამ მწვერვალს „კუსკა მაფსაც“ უწოდებს, რაც ბედნიერების მომტან მთას ნიშნავს. ამ მწვერვალს ბედნიერების მომტანად თვლიან ყაბარდოელებიც, რომლებიც მას „ოშხო-მახოს“ ეძახიან, რაც ბედნიერების მთას ნიშნავს. ჩერქეზთა სხვა ლეგენდაში ნათქვამია:

„მიდი მწვერვალ „კუსკა-მაფთან“, რწმენითა და ვედრებით მიაპყარი მას შენი მზერა და გაბედნიერდები. ყველა ნატვრა აგიხდება და ყველა სურვილი შეგისრულდება.“

ეტყობა, განკურნების თაობაზე იალბუზის მაგიურ ძალას რეალური საფუძვლები აქვს. საქმე ისაა, რომ იალბუზის ვულკანურმა წარსულმა მის მისადგომებთან მრავალი მინერალური წყარო დატოვა, რომელთა უმრავლესობა ცხელია, ასეთი წყლები კი, მოგეხსენებათ, სამკურნალო და მრავალმხრივ სასარგებლოა.

ბალყარელები და ყარაჩაელები იალბუზს „ჯინ ფადიშახსა“ და „მინგი თაუს“ უწოდებენ, რაც მწვერვალის გრანდიოზულობაზეც მიუთითებს, რადგან პირველი მთების სულთა მეფეს ნიშნავს, მეორე კი ათას მთას, ათასი მთის კრებულს თუ რაღაც ამდაგვარს.

იალბუზის მასშტაბებზე მიგვანიშნებს ოსური სახელწოდება „სტირ-ხოხიც“ (დიდი, მაღალი მთა) და სპარსული „ელბორონიც“ (მაღალი მთა), საიდანაც [illegible] ქართულად „იალბუზი“ [illegible] და სხვა ენებზე კი „ელბრუსი“ დამკვიდრდა.

საინტერესოა, რომ უცხოური წყაროებიდან იალბუზი პირველად სწორედ სპარსელი ისტორიკოსის შერიფ ად დინ იეზდის „გამარჯვებათა წიგნშია“ მოხსენიებული. იგი მოგვითხრობს, რომ შუააზიელი დამპყრობელი თემურ-ლენგი ამიერკავკასიაში წარმატებული ლაშქრობის მერე თითქოსდა იალბუზზე სალოცავად ავიდაო.

ამაზე იუწყებიან ზოგიერთი ძველი მოგზაურნიც, რომელთათვისაც, ეტყობა, პირველწყარო სწორედ შერიფ ად დინის „გამარჯვებათა წიგნია“, მაგრამ თემურ-ლენგის იალბუზზე ასვლა ისტორიულად არ დასტურდება.

ვერც დადასტურდება, რადგან თემურ-ლენგი არათუ იალბუზზე, საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში არ გადასულა. შესაძლოა სპარსელი ისტორიკოსი გულისხმობს შიდა ქართლში აღმართულ მწვერვალ ბრუტსაბძელას, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ზოგჯერ იალბუზსაც უწოდებენ, თუმცა, მასზე თემურ-ლენგის ასვლას გაკვრითაც კი არავინ მიანიშნებს.

ჩვენი აზრით, იეზდი იალბუზში უნდა გულისხმობდეს ჩრდილოეთ ირანში, კასპიის ზღვასთან გადაჭიმულ მთებს, რომელსაც ელბურსი ჰქვია, მისი უმაღლესი მწვერვალი კი დემავენდია (5604მ).

ვინ იცის, იქნებ თემურ-ლენგი დემავენდზე ან ელბურსის სხვა რომელიმე მწვერვალზე მართლაც ავიდა, როცა სპარსეთზე წარმატებით გაილაშქრა.

იალბუზის ისტორიასთან დაკავშირებულ ამბებზე რომ ვსაუბრობთ, გვახსენდება 1897 წელს მაიკოპის ყორღანზე აღმოჩენილი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის შუა ხანებში, სავარაუდოდ წინა აზიაში დამზადებული ვერცხლის ჭურჭელი. მასზე ჭედურად მთების ლანდშაფტის ფონზე ცხოველებია გამოსახული.

ზოგი რუსი მეცნიერის ვარაუდით, ჭურჭელზე გამოსახულია ორთავა იალბუზი და ცენტრალური კავკასიონის სხვა მწვერვალები. კოშტანთაუ, დიხთაუ, შხარა, თეთნულდი, მყინვარწვერი... ისინი ფიქრობენ, რომ ჭურჭლის ავტორმა კავკასიონის ეს ხედი ბორჯომის ხეობის თავზე მდებარე, ცხრა წყაროს ზეკარიდან დაინახა, საიდანაც მართლაც მოსჩანს იალბუზიცა და ის მწვერვალებიც.

თემურ-ლენგმა საქართველოში ლაშქრობისას საერთოდ დაინახა თუ არა კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი, ვერ გეტყვით, მაგრამ იალბუზზე პირველამსვლელის თაობაზე უფრო სარწმუნო ჩანს რუსული წყაროები, რომლებიც იუწყებიან, რომ ამ მწვერვალზე პირველი ასვლა 1817 წელს სცადა დიდმა სამხედრო რაზმმა, რომელიც სადღაც 5 000 მეტრის სიმაღლეზე მთლიანად დაიღუპაო.

იგივე წყაროები იალბუზზე პირველამსვლელად ყაბარდოელ კილარ ხაშიროვს ასახელებენ და მის წარმატებას დასავლელი ავტორების საპირისპიროდ სათუოდ სულაც არ მიიჩნევენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

დასასრული იქნება

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ქართული წყევლა:
# შენმა გუნდმა არ გაიხაროს!
## ორლანდომ ფაჩულიას დროს აურია

— 24 ნოემბერი —

**ორლანდო 78:89 ინდიანა**

**ორლანდო:** ლუ (13), გირიჩეკი (13), ჰარვი (13), ჰოვარდი (17), ჰანტერი (5); დეკლერკი (8), გუდენი (7), ბოგანსი (2), გეინისი, დიალი

*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**ინდიანა:** ანდერსონი (6), მილერი (9), არტესტი (17), ონილი (22 ქულა, 19 მოხსნა), ფოსტერი (12); კროშერი (15), ჰარინგტონი (4), პოლარდი (2), ჯონსი (2), ჯონსონი

**ბოსტონი 88:94 ნიუ იორკი**

**ბოსტონი:** ბეიკერი (16 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), პირსი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** ანდერსონი (28), ტომასი (15 ქულა, 11 მოხსნა), მუტომბო (13 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება)

**კლიპერსი 90:105 ჰიუსტონი**

**კლიპერსი:** მეჯიტი (33), დრობნიაკი (20)

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (19), მინგი (18 ქულა, 10 მოხსნა), მობლი (17)

**ატლანტა 89:94 დეტროიტი**

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (26 ქულა, 14 მოხსნა), ტერი (25)

**დეტროიტი:** ბილაფსი (24), პრინსი (22)



„ორლანდოს" ქომაგები მოწყენილობას არ მალავენ

ეს ჩვენი საწყალი „ორლანდო მეჯიქი" ჭანჭრობში ჩაფლულა და რაც მეტს გაიბრძოლებს, მით უფრო იძირება. ახლომახლო ხავსიც არ ჩანს, ხელი რომ მოავლოს და ვერც ...კერსა გრძნობს...

...ათიოდ დღეც და ფლორიდელები 11 წლის წინანდელ ანტირეკორდს, ზედიზედ 17 მარცხს გაიმეორებენ. ეს უკვე კატასტროფაა...

ორშაბათს კვლავ ძალუმად გაიბრძოლა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა, ისევ წააგო, ეს უკვე ზედიზედ მეცამეტედ. საცოდაობა იყო ფლორიდელთა ყურება. მათ ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი მოაკლდათ (სიცხე აქვს) და მაინც ყოჩაღად ედგნენ სადღეისოდ აღმოსავლეთის ყველაზე მოუწყვლელ გუნდ „ინდიანას". ერთი ხანობა ექვსი ქულითაც გაექცნენ მას, მაგრამ საბოლოოდ მძლავრმა მეტოქემ მაინც თავისი გაიტანა.

„ორლანდოს" ახალი მწვრთნელი ჯონი დევისი თავის შეგირდებიანად ნემსის ყუნწში ძვრება. ახლა მან ხუთეულის გადახალისებით სცადა ჩარხის შემოტრიალება, დამწყებებში დააბრუნა ჯუონ ჰოვარდი, ხოლო დრიუ გუდენის ნაცვლად თამაში გორდან გირიჩეკი დააყენა ხუთეულში, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

„ამ ბიჭებმა ჯოჯოხეთი მოგვიწყვეს, დიდი შანსი იყო, მოეგოთ კიდეც ჩვენთვის. დღეს ისინი ბევრს აგებენ, მაგრამ ალალად გეტყვით, სულაც არ გამოიყურებიან, როგორც ამ ლიგაში უარესები" — „ინდიანას" ლიდერ ჯერმენ ონილის სიტყვებში დაცემული მეტოქის მიმართ სიბრალული იგრძნობა.

მხნეობას არ კარგავს „მეჯიქის" მესაჭე. „თუ შემართება არ გაგვინელდება და ასე გაგრძელება შევძელით, ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოვალთ ამ კოშმარიდან" — ამბობს ჯონი დევისი.

რა გასაკვირია, ასეთ გაწამაწიაში არავის სცხელა ზაზა ფაჩულიასთვის. 19 წლის ქართველი ცენტრი ცუდ დროს აღმოჩნდა „ორლანდოში" — „მეჯიქი" მანამდე სამი წელი საშუალებას არ ჩამოსცილებია. თითქოს ქართული წყევლააო, სადაც ჩვენებური მივა, იქაურობა უცებ აირევა. ცხადია, „ორლანდოს" დაძაბუნებაში ფაჩულიას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის, ზაზა შემთხვევით ჩათრეული აღმოჩნდა ამ ორომტრიალში, საიდანაც გამოსავალი მან თვითონ უნდა ნახოს — მიუმატოს თუნდაც ვარჯიშებზე და გამოიმუშაოს თუნდაც რამდენიმე წუთით თამაშის უფლება.

**ძოტე ყორშია**




„ყოველთვის, როცა მოედანზე ვარ, კალათბურთს დანატრებული ბიჭივით ვთამაშობ. ვიცი, რომ ეს მატჩი შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს ჩემს კარიერაში" – ეს სიტყვები ალონზო მურნინგმა ამას წინათ თქვა. 90-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრი თავისი ზორბა ტანით გრძნობდა საფრთხეს, 24 ნოემბერს იგი იძულებით გამოეთხოვა აქტიურ სპორტს

# კიდევ ერთი წავიდა...
## ალონზოს თირკმელმა ხელ-ფეხი გაუკრა

**„ჩემთვის** ჯოჯოხეთის ტოლფასია ამ განცხადების გაკეთება — დანაღვლიანებული ხმით ამბობდა „ნიუ ჯერსის" გენმენეჯერი როდ თორნი — ალონზო მურნინგი სულით ჩემპიონი და ღირსეული სპორტსმენია. თავისი საქმის სიყვარულმა ის ერთხელ უკვე დააბრუნა კალათბურთში, მაგრამ ახლანდელი სამედიცინო გამოკვლევა აღარ აძლევს მას კარიერის გაგრძელების საშუალებას."

სამი წლის წინ მურნინგს თირკმლის უმძიმესი დაავადება აღმოაჩნდა. დიდი შანსი იყო, საერთოდ აღარ ეთამაშა. ამ სამიდან „ზომ" სრული ორი სეზონი გამოტოვა, თირკმელიც თითქოს საბოლოოდ მოირჩინა, მაგრამ...

მურნინგი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია. მან ეს სახელი მოიპოვა ჰაკიმ ოლაჯუონთან, დევიდ რობინსონთან პატრიკ იუინგთან, შაკილ ონილთან ორთაბრძოლებში. 1992 წელს „შარლოტ ჰორნეტში" მოხვედრისთანავე იგი გახდა სუპერვარსკვლავი, რომელიც ჯერ იქ, შემდეგ კი „მაიამიში" სტაბილურად თამაშობდა ყოველ სეზონს, სანამ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ თირკმელმა არ უყელა.

დასანანია, რომ ეს დიდი კალათბურთელი საჩემპიონო ბეჭდის გარეშე ასრულებს კარიერას. ამ სეზონამდე მურნინგს ორ გუნდში უთამაშია, მაგრამ იგი არ ყოფილა ჯორდანი, რომ „შარლოტი" ანაც „მაიამი" გაეჩემპიონებინა. ყველაზე დიდ დარდად მურნინგს სწორედ უტიტულობა მიჰყვება.

„ჩემი ერთადერთი ოცნება ჩემპიონობა იყო, მაგრამ ღმერთმა არ მიბოძა ეს. სამაგიეროდ, მან მე მომცა იმის ძალა, რომ დღეს კალათბურთი ვითამაშო — თქვა ამ სეზონის გახსნის მატჩში „მაიამიდან" „ნიუ ჯერსიში" გადაბარგებულმა მურნინგმა — ძლიან მინდოდა ჩემპიონობა და სწორედ ამიტომ ვტანჯავდი ჩემს სხეულს. ვიცოდი, რომ თამაში სიკეთეს არ მოუტანდა ჩემს თირკმელს, მაგრამ მაინც ვინდომებდი. როგორც გამოჩნდა, ამაოდ."

ჩემპიონობისთვის დამაშვრალი მურნინგი სწორედ ტიტულის მოხვეჭის სურვილით გადავიდა წლეულს უსახური „მაიამიდან" ფინალისტ „ნიუ ჯერსიში". „ბადეებმა" აღმოსავლეთში ეგებ მართლაც აჯობონ ყველას, მაგრამ დასავლელ გოლიათებთან ჭიდილში მათი შანსი მიზერულია. და მაინც ჯერ არავინ იცის, რა როგორ იქნება, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ალონზო მურნინგი, ჩემპიონობის ღირსი კაცი, უტიტულოდ მიდის დიდი კალათბურთიდან.

**ირაკლი პერტაია**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ძმამ მოუღვა ძმასა ყისტი

— 24 ნოემბერი —

**კოლორადო 2:3 ნეშვილი**

*0:1 0:1 2:1*

**0:1 ტიმონენი (2), 0:2 ჟიდლიცკი (26), 1:2 შეიდუკი (43), 1:3 მიურეი (54), 2:3 საკიკი (5;)**

**დეტროიტი 1:4 ვაშინგტონი**

*0:3 0:1 1:0*

**0:1 იაგრი (7), 0:2 ბონდრა (9), 0:3 ლანგი (12), 0:4 ზუბრუსი (24), 1:4 დრეიპერი (59)**

იაროშირ იაგრი ხასიათზე ვერ არის და ამის მიზეზებიც ცნობილია, მაგრამ ის კვლავ მრისხანე ფორვარდია. ყოველ შემთხვევაში, როცა ამის სურვილი აქვს ოდესღაც ლიგის მთავარი ბომბარდირი დროდადრო გამოიღვიძებს ხოლმე და ვაი, მაშინ მეტოქის დაცვას. ჩეხის გამოფხიზლებას ამჯამად „დეტროიტი" ემსხვერპლა. იაგრმა გოლი და 2 პასი მიითვალა. ამდენივე მისმა თანამემამულემ და მუდმივმა პარტნიორმა რობერტ ლანგმა მოახერხა. იაგრისგან განსხვავებით, ლანგი სტაბილურად თამაშობს და 12 მატჩში უქულოდ ყინული არ დაუტოვებია.

**ფლორიდა 2:1 ბუფალო**

*2:0 0:0 0:1*

**1:0 უაისი (13), 2:0 მეტ ბირონი (19), 2:1 დიუმონი (43)**

„ფლორიდის" 23 წლის მცველმა მეტიუ ბირონმა თავის ძმას, „ბუფალოს" მეკარე მარტინს (სამი წლით უფროსია) გოლი გაუტანია, თანაც გადამწყვეტი. ძმები პირველად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. „ამაზე ხშირად ვფიქრობდი. გუშინაც ვუთხარი, გოლს გაგიტან-მეთქი, ის კი მეხუმრებოდა, იოცნებეო. დღეს თამაშის შემდეგ ალბათ მოერიდება ამაზე საუბარს" — წაიტრაბახა მატჩის შემდეგ ფლორიდელმა. მეტიუ ბირონი ლეგენდარულ ფილ ესპოზიტოს ამოუდგა მხარში. ნჰლ-ის ისტორიაში ბოლოს სწორედ დიდმა ფილმა გაუტანა თავის ძმას. ეს 1980 წლის 5 ნოემბერს მოხდა. მაშინ ფილი „რეინჯერსში" ასპარეზობდა, მისი ძმა ტონი კი, „ჩიკაგოს" მეკარე გახლდათ.

**ტორონტო 2:1 ვანკუვერი**

*1:1 0:0 1:0*

**1:0 რობერტსი (1), 1:1 მორისონი (17), 2:1 სუნდინი (43)**

ტორონტოს მეკარე ედ ბელფორმა 408-ე მოგება იზეიმა და ნჰლ-ის ისტორიაში მე-5 ადგილზე გადაინაცვლა. მან ლეგენდარულ გლენ ჰოლს გადაუსწრო.

**დალასი 5:2 ფინიქსი**

*2:0 2:2 1:0*

**1:0 მოდანო (3), 2:0 არნოტი (20), 2:1 ჰალსი (21), 3:1 ოტი (26), 3:2 უილსონი (26), 4:2 ლეჰტინენი (40), 5:2 ბარნსი (59)**




მეტიუ ბირონს თანაგუნდელები საკუთარი ძმისთვის გოლის გატანას ულოცავენ

# მოსაგონარი

ეს სპორტული წაღები „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ბებერ მობურთალ კარლ მელოუნს ამა თუ იმ სამხედრო ოპერაციისას დაკარგულ თვისტომთა მოსაგონრად ამოუსხამს.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ტაიგერი და ელინი

სამხრეთაფრიკულ ფანკურში შეკრებილი უჩაუქეს [illegible] ერთმანეთს პრეზიდენტის თასს ეცილებიან. იქვეა ყვანჯო დი ტუტი ყვანჯი ტაიგერ ვუდსი, ვისაც გვერდს უმშვენებს მისი ნორვეგიელი ქერა ქალი ელინ ნორდეგრენი. ასეთი ქალის გვერდით ყველაფერი კარგად გეჩნევინება — მათ შორის ყვანჯიც.



REUTERS ჯოჰანესბურგიდან



REUTERS კალგარიდან

# ბობობა

კალგარი ბობსლეიში მსოფლიოს თასს მასპინძლობს და ფოტოზე რომ ოთხ კაცს ხედავთ, ეგენი შვეიცარიელი მესაჭე მარტინ ანენი და მისი ძმობილები გახლავან. მათ ოთხკაცა ბობს ფინიშის ხაზი იმ დღეს მეხუთე საუკეთესო შედეგით გადაუკვეთია.

# კლიჩკოები

ლოსანჯელესურ ლა ბრი ბოქსინგ კლაბში ემზადებიან მძიმეწონოსანი ძმები ვლადიმირ (მარცხნივ) და ვიტალი კლიჩკოები. ვიტალი, ვინაც 2 მარცხის წილ 32 გამარჯვებას მოიძევს, 6 დეკემბერს ნიუ იორკში კორკ ჯონსონს უნდა ეკრივოს. ასევე ორი მარცხის საპირწონედ 42 გამარჯვების მიმთვლელი ვლადიმირი კი 20 დეკემბერს გერმანულ კილში ჯერაც გაუმხელელ მეტოქეს დაეჯახება.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS ბერლინიდან



# საათმნო ოქრო-ვერცხლი

ათენის საზაისო ოლიმპიადისთვის იქაურ ზარაფხანებში სავანგებო მონეტები მოჭრილა. ოქრო-ვერცხლის ფულეულზე ძველბერძნულ ოლიმპიადებთან დაკავშირებული სიუჟეტები ამოუტვიფრავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge